ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

ნათია საგინაშვილი

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზები რუსეთთან მიმართებაში 2015 წლის შემდეგ: თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენა ინტერესთა კონფლიქტის ფონზე

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2023

აბსტრაქტი

2015 წლის 24 ნოემბერს სირია-თურქეთის საზღვარზე თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების F-16 ტიპის თვითმფრინავმა ჩამოაგდო რუსული ბომბდამშენი SU-24 ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო. ამ ინციდენტის შემდგომ თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები სერიოზულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, შეწყდა დიპლომატიური და ეკონომიკური თანამშრომლობა. თუმცა ანკარა მალევე ცვლის საგარეო პოლიტიკის კურსს და წინააღმდეგობრივი პოზიციის მიუხედავად, თანამშრომლობითი ხასიათის მქონე ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების გამომწვევი მიზეზების კვლევას რუსეთთან მიმართებაში 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის კრიზისის“ შემდეგ. კვლევის ინტერესია განსაზღვროს ის ფაქტორები, რამაც უბიძგა თურქეთს თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენაზე ინტერესთა კონფლიქტის ფონის მიუხედავად.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების განმაპირობებელი მიზეზები უპირველესად უკავშირდება 2015-2016 წლებში შექმნილი საერთაშორისო სისტემის ბუნების თავისებურებებს და ამ კუთხით განსაკუთრებულად გამოკვეთს დასავლეთთან, კერძოდ, ევროკავშირსა და აშშ-სთან შექმნილი პოლიტიკური კრიზისის როლს, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში მომხდარი წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდგომ.

თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი იყენებს ნეორეალიზს, რათა სისტემის თავისებურების გავლენით ახსნას თურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორის მკვეთრი ცვლილება რუსეთთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, რუსეთი, „თვითმფრინავის კრიზისი“, დასავლეთი.

Abstract

On November 24, 2015, a Turkish Air Force F-16 fighter jet shot down a Russian SU-24 bomber on the Syrian-Turkish border due to a violation of the country's airspace. After this incident, relations between Turkey and Russia turned into a serious political conflict, diplomatic and economic cooperation was stopped. However, Ankara soon changes its foreign policy course and, despite its contradictory position, moves to a new stage of cooperative relations.

This paper presents a study of the causes of the change in Turkey's foreign policy towards Russia after the November 24, 2015 „The Fighter Jet Crisis", The interest of the study is to determine the factors that pushed Turkey to restore cooperative relations despite the background of interests' conflict.

The paper expresses the opinion that the reasons for the change in Turkey's foreign policy are primarily related to the nature of the international system created in 2015-2016, and in this regard, the role of the political crisis created with the West, in particular with the European Union and the USA. The political crisis was especially aggravated after the failed coup attempt in Turkey on July 15, 2016.

From a theoretical point of view, the paper uses neo-realism to explain the sharp change in the vector of Turkey's foreign policy in relation to Russia under the influence of the peculiarities of the system.

Key words: Turkey, Russia, „The Fighter Jet Crisis", the West.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 15

თავი II. თეორიული ჩარჩო - ნეორეალიზმი 21

თავი III. „თვითმფრინავის კრიზისის“ გამომწვევი ისტორიული წინაპირობები 26

3.1 თურქეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონით ინტერესდება 26

3.2 სირიის კრიზისი, როგორც „სტრატეგიული სიღრმის“ დოქტრინის გამოწვევა 27

3.3 თურქეთი საგარეო პოლიტიკას ცვლის სირიასთან მიმართებაში 29

3.4 რუსეთის ინტერვენციიდან „თვითმფრინავის კრიზისამდე“ 31

თავი IV. ეკონომიკური სანქციების შედეგი 33

თავი V. წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალება თურქეთში და დასავლეთის რეაქცია 37

თავი VI. საკითხის ანალიზი ნეორეალიზმის თეორიულ ჭრილში 42

დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა 49

შესავალი

თურქეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ფორმატის ურთიერთობა მრავალსაუკუნოვან მეტოქეობრივ ისტორიას ითვლის. მათი უთანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც თურქეთი იწყებს მოქნილი დიპლომატიის გატარებას „ნეოოსმანიზმის“ ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით. ახალ მილენიუმში თურქეთმა საგარეო პოლიტიკური კურსის დოქტრინად აღიარა „ნეოოსმანიზმის“ იდეოლოგია, რომელიც სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) ლოზუნგი გახდა. „ნეოოსმანურმა“ ხედვამ თურქეთის ეროვნული ინტერესების პრიორიტეტად დასახა რეგიონში გავლენის გაძლიერება და სტაბილურობის შენარჩუნება (მჭედლიშილი, 2021, გვ. 208). სამართლიანობისა და განვითარების პარტია მუდმივად ცდილობდა თურქეთის სტატუსი აემაღლებინა და წარმოეჩინა საკუთარი ქვეყანა არა მარტო როგორც რეგიონული მნიშვნელობის მქონე მოთამაშედ, არამედ გლობალური დონის აქტორად, თუმცა ამ პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ გამოწვევას სამეზობლოში რუსეთის ფედერაციის არსებობა წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ორ სახელმწიფოს ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მტრობა აკავშირებდა, მათ მაინც შეძლეს თანამშორმლობაზე დაფუძნებული დიპლომატიის წარმოება დაიწყეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ეკონომიკურმა კავშირებმა ზრდის სწრაფი ტემპი მიიღო. თურქეთსა და რუსეთს შორის გაღრმავდა ინტერესები ისეთ სფეროებში როგორიცაა: ვაჭრობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა. ამ მიმართულებების ეფექტურად განვითარების მიზნით კი საფუძველი ჩაეყარა ერთობლივი პროექტების რეალიზების იდეას და სამომავლო გეგმებზე მოლაპარაკებები დაიწყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკური ურთიერთობები „ასიმეტრიულ“ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან თურქეთის მხრიდან რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება უფრო მეტი იყო.

მშვიდობიანი თანამშორმლობის ფონზე, არსებობდა ისეთი საკითხებიც, რომლებზეც მხარეებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდათ და საპირისპირო პოზიციებზე იდგნენ. მაგალითისთვის, რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს კვეთდნენ შავი

ზღვის, სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ასევე დასავლეთთან ურთიერთობის ასპექტში. ორივე ქვეყანა რეგიონალურ ამბიციებზე უარს არ ამბობდა, არ მიდიოდა დათმობებზე, რაც იწვევდა იმას, რომ მათი დიპლომატიური ურთიერთობები შემოიფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ სფეროებით, სადაც ინტერესები ერთმანეთს გარკვეუწილად ემთხვეოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, თურქეთი და რუსეთი არასდროს ყოფილან ახლო მოკავშირეები.

ანკარასა და მოსკოვს შორის მრავალწლიანი სიტუაციური პარტნიორობის შემდგომ პირველად მოვლენები განსხვავებული კუთხით ვითარდება. ჩვეული პრაქტიკა - მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა პოლიტიკურად დაპირისპირებული ინტერესების ფონზე - წყვეტს განვითარების ჩვეულ რიტმს. 2015 წელს ორ სახელმწიფოს შორის გარდამტეხი მომენტი დგება, წარმოიქმნება დაძაბულობა, რაც საბოლოდ კრიზისულ ნიშნულს აღწევს.

2015 წლის 24 ნოემბერს სირია-თურქეთის საზღვარზე თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების F-16 ტიპის თვითმფრინავმა ჩამოაგდო რუსული ბომბდამშენი SU-24 ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო. თურქულმა მხარემ ჩამოგდების გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც რუსული სამხედრო ავიაციის თვითმფრინავმა მრავალი გაფრთხილება არაფრად ჩააგდო და რეაგირება არ ჰქონია (Gibbons-Neff, 2015).

2015 წელს ერდოღანი დაპირისპირების გზას ირჩევს, თუმცა მალევე ცვლის საგარეო პოლიტიკის კურსს და წინააღმდეგობრივი პოზიციის მიუხედავად, თანამშრომლობითი ხასიათის მქონე ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის. იგი იხდის ბოდიშს რუსეთის პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილში. ამგვარი ქმედება სრულიად არ ჯდება თურქეთის საგარეო პოლიტიკის ჩვეულ ჩარჩოში. როგორც წესი, თურქეთი ყოველთვის ცდილობს საკუთარი პრესტიჟის დაცვას. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია განვიხილოთ ისრაელისა და თურქეთის ურთიერთობების დინამიკა. 2010 წელს მავი მარმარას გემზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ქვეყნებს შორის ურთიერთობები კრიზისულ მდგომარეობაში იყო მანამ, სანამ აშშ-ს ჩარევით ისრაელის მხარემ საჯაროდ არ მოუბოდიშა ერდოღანს სატელეფონო საუბრის გამოყენებით. ახლა კი ერდოღანმა თვითონ გაუგზავნა მობოდიშების წერილი რუსეთის პრეზიდენტ პუტინს.

მაგრამ ერთია, მოიხადო ბოდიში, მეორე კი გაპატიებენ თუ არა. ანკარასა და მოსკოვს შორის შეწყდა პოლიტიკური კონტაქტები და ეკონომიკური თანამშრომლობა ჩიხში მოექცა. რუსეთის ლიდერმა ინციდენტი „ზურგში დანის ჩარტყმად“ მოიხსენია და თურქეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესება არ დააყოვნა, მიუხედავად ამისა, ორმხრივი ურთიერთობების აღდგენას დათანხმდა (Roth & Cunningham, 2016).

საკითხი აქტუალურია, ვინაიდან აღნიშნული მოვლენა გახდა ახალი მილენიუმის პირველი და ყველაზე გავლენიანი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. ინციდენტმა აჩვენა ის, თუ რამდენად სწრაფად შეიძლება თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები სერიოზულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს და შემდგომ მალევე კვლავ მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატს დაუბრუნდეს და კავშირები არღდგეს. თურქეთი, ისევე როგორც რუსეთი, საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოთამაშეა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო დღეს ყველაზე მეტად ურთიერთდამოკიდებულია ვიდრე ოდესმე ყოფილა, მათ მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი გავლენას ახდენს არა მხოლოდ მათზე, არამედ სხვა ქვეყნებზეც. დღის წესრიგში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი დადგა. მათ შორის დაძაბული ურთიერთობის გამწვავებას ნეგატიური გავლენის მოხდენა შეეძლო რეგიონის სტაბილურობაზე.

თურქეთის როლი საერთაშორისო ასპარეზზე მუდმივი ზრდადობით ხასიათდება. 1952 წლიდან მოყოლებული იგი არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის, ნატოს, წევრი და მისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი. ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ იკავებს მეორე ადგილს შეიარაღებული ძალების სიმრავლითა და სიძლიერის თვალსაზრისით. თურქეთი ნატოსთვის აღმოსავლეთის კარიბჭის ფუნქციას ასრულებს და რეგიონში უსაფრთხოების შენარჩუნების გარანტორია, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ „თვითმფრინავის კრიზისს“ ნატოს მხრიდანაც მოჰყვა რეაგირება, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ რომ ეს არ ყოფილა მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის მოვლენა.

ნატოს გენერალურმა მდივამა იენს სტოლტენბერგმა საგანგებო სხდომაზე განიხილა არსებული კრიზისი და სოლიდარობა გამოუცხადა თავის წევრ ქვეყანას. აგრეთვე

მხარეებს მოუწოდა დიპლომატიური თანამშრომლობისკენ, რათა დროულად მომხდარიყო შექმნილი პრობლემის დეესკალაცია (The North Atlantic treaty organization, 2015).

ნაშრომის კონტრიბუციად საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: მოცემული კვლევა 2015 წლის შემდგომ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების ტრანსფორმაციის მიზეზის ასახსნელად იყენებს არა მარტო რეგიონულ დონეს, არამედ გლობალურ კონტექსტშიც განიხილავს მოვლენების განვითარებას. ამისათვის კი შეისწავლის თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ვექტორის ცვლილებას რუსეთთან მიმართებაში დასავლეთთან განვითარებული მოვლენების გამოკვეთის პარალელურად. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკადემიურ სივრცეში 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის კრიზისი", უმეტეს შემთხვევაში, თურქეთ-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების დინამიკის ანალიზის დროს მხოლოდ ერთ-ერთ ქეისად არის წარმოდგენილი და ცალკე, ფართო მასშტაბის კვლევის საგანს არ წარმოადგენს. შესაბამისად, თემის გარშემო არსებობს ვრცელი აკადემიური ტიპის ნაშრომების სიმცირე.

წარმოდგენილი კვლევის ინტერესია განსაზღვროს ის ფაქტორები/მიზეზები, რამაც გახადა შესაძლებელი თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირების განტვირთვა და ორი ქვეყნის კვლავ მჭიდრო თანამშრომლობით ფორმატში დაბრუნება. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომი ცდილობს ახსნას თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ის პროცესები, რამაც უბიძგა ანკარას თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენისკენ რუსეთთან, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების მკვეთრი დაპირისპირებისა.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ნაშრომის ძირითადი **საკვლევი კითხვა** დაისვა შემდეგნაირად:

> *რა ფაქტორებმა განაპირობა თურქეთის რესპუბლიკის მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენა რუსეთის ფედერაციასთან ინტერესთა კონფლიქტის ფონზე 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის ინციდენტის" შემდეგ?*

მოცემული საკვლევი კითხვის პასუხმა **ჰიპოთეზის** სახით ამგვარი ფორმულირება მიიღო: თურქეთმა, დასავლეთთან შექმნილი პოლიტიკური კრიზისისგან დისტანცირების მიზნით, გადაწყვიტა კვლავ აღედგინა თანამშრომლობითი ურთიერთობები რუსეთთან, მიუხედავად 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის ინციდენტით“ გამწვავებული კონფლიქტისა.

ნაშრომი რუსეთთან ურთიერთობების გაუარესების პარალელურად, დროის იმავე მონაკვეთში, მიმოიხილავს დასავლეთთან არსებული ურთიერთობების დინამიკას. გამოყოფილია ის სადავო საკითხები, რაზეც თურქეთს არ ჰქონდა ევროკავშირისა და აშშ-ს მსგავსი მოსაზრება, რამაც საბოლოოდ ანკარა მოსკოვთან თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენისკენ მიიყვანა, ხოლო დასავლეთისგან უფრო მეტი დისტანცირება გამოიწვია.

საკვლევი კითხვისა და ჰიპოთეზის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოიყო ცვლადები, რომელთა ერთობლივი გააზრება ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და იძლება საკითხის უფრო მეტად სიღრმისეული ანალიზის საშუალებას.

დამოუკიდებელი ცვლადია - *თურქეთის საგარეო პოლიტიკური სვლა: დასავლეთთან არსებული პოლიტიკური კრიზისისგან დისტანცირება.*

დამოკიდებული ცვლადია - *თურქეთის მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან ინტერესთა კონფლიქტის ფონზე.*

მეტი სიცხადისთვის, განვიხილოთ როგორ მოქმედებენ ცვლადები ერთმანეთზე და დავადგინოთ მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც გულისხმობს დასავლეთთან არსებული პოლიტიკური კრიზისიგან დისტანცირებას, გვევლინება თურქეთის რესპუბლიკის საგერეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილების მთავარ მიზეზად. დასავლეთში მოიაზრება ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო პოლიტიკური კრიზისი მგომარეობს შემდოგმში: 2016 წლის 15 ივლისს თურქეთის ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო სამხედრო გადატრიალების მცდელობა. ამის შემდგომ განვითარებული მოვლენები: პოლიტიკური დევნა, დაპატიმრებების სერია, სამსახურიდან დათხოვნა და სხვა სახის გადახვევები დემოკრატიული კურსიდან გახდა ევროკავშირის მხირდან მწვავე

კრიტიკის საგანი. ევროპული სახელმწიფოების ლიდერები ერდოღანის მიერ გატარებულ პოლიტიკას უარყოფითად აფასებდნენ და უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვას არ ერიდებოდნენ.

თურქეთს ურთიერთობები დაეძაბა ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. ერდორანმა აშშ-ს მთავრობას მოსთხოვა ფეთჰულა გიულენის გადაცემა. სწორედ მას ედებოდა ბრალი გადატრიალების მცდელობის მოწყობაში და ითვლებოდა სავარაუდო ორგანიზატორად , თუმცა ბარაკ ობამამ თურქეთის ლიდერს უარი განუცხადა ფეთჰულა გიულენის ექსტრადიციაზე, საკმარისი საბრალდებო მტკიცებულებებების არარსებობის გამო. ამან კი გამოიწვია ნატოს ორ ძლიერ წევრ ქვეყანას შორის დაძაბულული ვითარების შექმნა.

ნაშრომი ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური კრიზის განხილვის ფარგლებში უშვებს ვარაუდს, რომ სწორედ ამ დაძაბული ურთიერთობებისგან დისტანცირებას შეეცადა თურქეთი რუსეთთან დაახლოების მეშვეობით, შესაბამისად, მივიღეთ დამოუკიდებელი ცვლადის მიერ გამოწვეული შედეგი, რაც წარმოჩინდა დამოკიდებულ ცვლადად: ანკარამ აღადგინა თანამშრომლობითი ურთიერთობები მოსკოვთან, მიუხედავად ინტერესთა კონფლიქტისა, რომელიც 2015 წელს თურქული F-16 ტიპის თვითმფრინავის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებამ უფრო მეტად გაამწვავა.

მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი

გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომი ცდილობს ახსნას თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ის პროცესები, რამაც უბიძგა ანკარას თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენისკენ რუსეთთან, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების მკვეთრი დაპირისპირებისა, კვლევა საჭიროებს მოვლენების სიღრმისეულ და ფართო ანალიზს. ამისათვის რელევანტურია თვისებრივი კვლევის ჩატარება.

თვისებრივი კვლევა გამოიყენება მაშინ, როცა არასტატისტიკური მონაცემების გამოკვლევა გვსურს, როგორიცაა: სიტყვები, არარიცხობრივი ჩანაწერები, სიმბოლოები, სურათები, წერილობითი მასალები, კრებულები და სხვა. როდესაც შესასწავლი

ფენომენი დაკავშირებული არის მონაცემთა ამგავრი ტიპის წყაროებთან, მკვლევარს საშუალება აქვს აწარმოოს კრიტიკული ანალიზი სუბიექტური ინტერპრეტაციების ჩართვით (McNabb, 2015, p. 225).

მკვლევრები, რომლებიც თვისებრივი კვლევის მიდგომებს იყენებენ ცდილობენ სოციალური ურთიერთქმედების გაგებას. აქ აქცენტი კეთდება სუბიექტების ერთმანეთთან მიმართებაზე და მათ რეაგირებაზე. ეს მოვლენები დამკვირვებლის ინტერესის ფენომენს წარმოადგენს. რაოდენობრივი კვლევისას კი გარე ზემოქმედების თავიდან არიდება და სუბიექტების პროცესისგან იზოლირება ხდება. რაოდენობრივი კვლევა ხშირად დაკავშირებული არის მომავალი მოვლენების პროგნოზირებასთან, წინასწარი დასკვნებს გამოტანასთან - ეს კი ხდება შედეგების სტატისტიკური გაზომვის მეშვეობით. რაოდენობრივი კვლევების ჩატარების შემთხვევაში გარკვეულ შემთხვევებში მიზანს წარმოადგენს მიღებული შედეგების გამოყენება სხვა სიტუაციების კვლევის დროსაც, ამრიგად, უფრო განზოგადებული სახე აქვს (McNabb, 2015, p. 227).

თვისებრივი კვლევის მიდგომები მეტი მოქნილობით გამოირჩევა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისაგან განსხვავებით მრავალფეროვანი და მრავლისმომცველია. ანალიზის პროცესი სცილდება მოვლენების მარტივ აღწერას. თვისებრივი კვლევის მახასიათებლები მორგებულია დროსა და კონტექსტზე, აქვს მეტად შემოქმედები ბუნება. იძლევა საზრისის ეფექტური წვდომის საშუალებას და არ გამორიცხავს ახალი ფენომენის აღმოჩენას კვლევის პროცესში, რომლის ინტეგრირებაც შეიძლება მოხდეს შემდგომ და ახალი ცოდნის გენერირების საფუძველიც გახდეს (წულაძე, 2020, გვ.19-20).

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ გამოვკვეთოთ თვისებრივი კვლევის მეთოდების ნაკლოვანებებიც. როგორც წესი, საკვლევი რესურსები სირთულითა და მოცულობით გამოირჩევა. პროცედურულად საკმაოდ დიდ ხარჯებს, ენერგიასა და დროს მოითხოვს თუ ვატარებთ ინტერვიუებს. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი ფენომენის შესწავლას დასჭირდეს კვირები, თვეები ან თუნდაც წლები, რათა მონაცემები შეგროვებული იყოს დიდი სიზუსტით. თვისებრივი კვლევის დროს რთულია განაზოგადო დასკვნები. თუნდაც თითქმის მსგავსი მოვლენის შესწავლისას მკვლევრები მაინც განსხვავებულ გარემოებებს შეხვდებიან და კვლევა მიიღებს ორიგინალურ სახეს,

აქედან გამომდინარე, შედეგიც განსხვავებული იქნება და არ განმეორდება. პრობლემას წარმოადგენს ასევე საკვლევი მასალის, ნაშრომების, დოკუმენტებისა თუ სხვა სახის არასტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობაც. კვლევა არ იქნება საფუძვლიანი, თუ საჭირო მონაცემების ნაწილი გასაიდუმლოებულია და მათი შესაწავლა საერთოდ ვერ მოხერხდება ამ მიზეზის (Franco et al., 2020, p. 115-116).

მოცემული ნაშრომისთვის კვლევის დიზაინად შეირჩა ე.წ. „ქეისს სდათი“ ანუ „შემთხვევის შესწავლა“. ეს უკანასკნელი ურთიერთდაკავშირებული მოვლენებისა და ფაქტორების სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა, აკვირდება როგორც სამოქმედო გარემოს, ისე მთავარ მოქმედ პირებს. „ქეისს სთადის“ ანუ იგივე მონოგრაფიული გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს მოქმედი სუბიექტების მიერ გამოვლენილი ქცევების საზრისის სიღრმისეული წვდომა. გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური ფენომენის შესწავლა ხდება მასში ე.წ. „ჩაძირვის“ მეშვეობით, მკვლევარს აქვს კარგი საშუალება იმისათვის, რომ შემთხვევის მონაწილე წევრების გადმოსახედიდან შეხედოს სამყაროს და მათი თვალთახედვიდან გაიაზროს განვითარებული მოვლენები (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 61). ამდენად შემთხვევის შესწავლის გამოყენება მიზანშეწონილი იქნება თურქეთის საგარეო პოლიტიკის კვლევის პროცესში, რაც კომპლექსური საკითხია და მრავალმხრივი ანალიზის განვითარებას მოითხოვს. ნაშრომში განხილულია 2015 წლის 24 ნოემბერს სირია-თურქეთის საზღვარზე თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების F-16 ტიპის თვითმფრინავის მიერ რუსული ბომბდამშენის SU-24-ის ჩამოგდების ინციდენტი და ამის შემდგომ ერდოღანის მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა ხდება.

მონოგრაფიული გამოკვლევა პრაქტიკაში ყველაზე ხშირად აღწერით ფუნქციას ასრულებს, თუმცა ამ მეთოდს სავსებით შეუძლია, რომ არ შემოიფარგლოს მხოლოდ აღწერით და შეეცადოს ახსნას და ანალიზის ჩარჩოში მოაქციოს გარკვეული სიტუაცია. შემთხვევის შესწავლის დროს, როგორც წესი, ძალიან დიდია თავად მკვლევრის როლი და ბევრია დამოკიდებული მის პროფესიონალიზმზე. იგი უნდა აცნობიერებდეს მის წინაშე მდგარ სირთულეებს და უნდა ეცადოს ემოციური სტრესი აირიდოს თავიდან (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 64). არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მოვლენებმა და სიტუაციებმა თავად ისაუბრონ და არა მკვლევრის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე

ხატავდნენ სურათს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხელს შეუძლის ობიექტურ შეფასებასა და განსჯას. ზოგადად არ არის სასურველი, რომ კვლევის დროს ხაზი გაესვას ან წინა პლანზე იყოს წამოწეული ისეთი ასპექტები, რომლებსაც უმნიშვნელო ან დაბალი ხარისხის წვლილი აქვს შემთხვევის განვითარების დროს. მკვლევარი უნდა ემიჯნებოდეს უმნიშვნელო დეტალების ზედმეტად სიღრმისეულ და მკაცრ ანალიზსს, რადგანაც ზოგიერთი მოვლენის საჭიროზე მეტად გამოკვეთამ შესაძლოა, რომ მთლიანი სურათის დანახა შეაფერხოს, ან არასწორი კუთხით განავითაროს მსჯელობა და საბოლოო ჯამში დასკვნებიც არ იყოს რელევანტური ან აკადემიური ღირებულების მატარებელი (Cohen et al., 2007 p. 254).

წინამდებარე ნაშრომი თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესასწავლად და ამ კუთხით კვლევის წარმოებისათვის იყენებს და აანალიზებს სხვადასხვა სახის არასტატისტიკურ მონაცემებს, რათა მათმა სიღრმისეულმა გამოკვლევამ საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მიღებული შედეგის სანდოობა და ვალიდურობა. ნაშორმში შესწავლილი და გაანალიზებული იქნება დარგის ექსპერტების ნაშორმები, მოსაზრებები, აკადემიური სტატიები, ჟურნალები, პუბლიკაციები, თურქეთის, რუსეთისა და დასავლეთის წარმომადგენელი ოფიციალური პირების განცხადებები. ამასთანავე ყურადღება დაეთმობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციისა და ეროვნული ინტერესების შესწავლას. ფაქტობრივი მასალის შესაგროვებლად გამოყენებულია რელევანტური ნიუს გამოცემები და ინტერნეტ წყაროები. შეიძლება ითქვას, რომ შესასწავლი მონაცემების სიმრავლე და ხარისხი შესაძლებელს გახდის, კვლევაში წარმოდგენილ ჰიპოთეზასა და ცვლადებს შორის შესაძლოდ არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მაქსიმალური ეფექტიანობით დაიტესტოს.

ძირითადი ტერმინების განმარტება

1. თვითმფრინავის ინციდენტი/ თვითმფრინავის კრიზისი - იგულისხმება 2015 წლის 24 ნოემბერს სირია-თურქეთის საზღვარზე თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების F-16 ტიპის თვითმფრინავის მიერ რუსული ბომბდამშენის SU-24-ის ჩამოგდება, ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო.

2. დასავლეთთან შექმნილი პოლიტიკური კრიზისი - მოიცავს 2016 წლის 15 ივლისის სახელწმიფო გადატრიალების შემდგომ თურქეთის დაძაბულ ურთიერთობათა სპექტრს ევროკავშირთან და აშშ-სთან.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის შესავალი მოიცავს საკითხის ზოგად მიმოხილვას. აქ დასაბუთებულია კვლევის აქტუალობა და გამოკვეთილია მისი სამეცნიერო მნიშვნელობა და აკადემიური კონტრიბუცია. შესავალშივეა გამოკვეთილი საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა, რომლის შემდეგაც ხდება ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და ამის შემდგომ უკვე კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის განხილვა. ამ თავის ბოლო ნაწილი კი ეთმობა ძირითადი ტერმინების განმარტებას.

პირველ თავში წარმოდგენილია კონკრეტული ავტორების მიერ დაწერილი ნაშრომების, პუბლიკაციებისა თუ სტატიების ლიტერატურული მიმოხილვა. გამოიკვეთება ის ძირითადი მოსაზრებები და მიგნებები რაც უკვე არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ და კვლევით სივრცეში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზების განხილვის თაობაზე რუსეთთან მიმართებით 2015 წლის კრიზისის შემდგომ.

მეორე თავი თეორიულ ჩარჩოს ეხება. რადგანაც ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების დასადგენად, ნაშრომი ეყრდნობა ნეორეალიზმის თეორიას, შესაბამისად, ამ ნაწილში განხილულია ნეორეალიზმის ძირითადი პოსტულატები და ახსნილია ის თუ რაზე აკეთებს ეს თეორია აქცენტს ანალიზის დროს და ქმნის ზოგად წარმოდგენას თეორიის გარშემო.

მესამე თავი - „თვითმფრინავის კრიზისის“ გამომწვევი ისტორიული წინაპირობები - არის ისტროული ფონის შემქნელი ნაწილი ამ ნაშრომში. აქ წარმოდგენილია ის განმაპირობებელი ფაქტორები, რამაც თურქეთი და რუსეთი მიიყვანა თვითმფრინავის ჩამოგდებამდე. ეს თავი დაყოფილია ოთხ ქვეთავად. პირველი ქვეთავი ეხება თურქეთის ახლო აღმოსავლეთის რეგიონით დაინტერესების მიზეზების გამოკვეთას, მეორე ქვეთავი სირიის კრიზისს წარმოაჩენს, როგორც „სტრატეგიული სიღრმის“ დოქტრინის

გამოწვევას, მესამე ქვეთავი აღწერს თურქეთის შეცვლილ პოლიტიკას სირიის რეგიონის მიმართ და ბოლო, მეოთხე ქვეთავი - კი ქმნის წარმოდგენას იმის შესახებ თუ რატომ აღმოჩნდა რუსული თვითმფრინავი თურქეთ-სირიის საზღვრის სიახლოვეს და როგორ მივიდნენ მხარეები თვითმფრინავის ჩამოგდებამდე.

მეოთხე თავში მოცემულია 2015 წლის ნოემბრის ინციდენტის შემდგომ განვითარებული მოვლენები, კერძოდ რუსეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ეფექტი და მისი შედეგები თურქეთის ეკონომიკისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ სანქციები ორმხრივი თანამშრომლობის ძალიან ბევრ სფეროს შეეხო, ამ თავში მოკლედ, თუმცა საკვანძო დეტალების გამოყოფით არის განხილული ტურიზმის, ვაჭრობის, სოფლის მეურეობის, სამშენებლო და ენერგეტიკის სექტორებში შექმილი კრიზისური ვითარება.

მეხუთე თავი ეხება 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელ მცდედლობას თურქეთში. აქ გამოკვეთილია დასავლეთთან შექმნილი პოლიტიკური კრიზის არსი. მეექვსე თავის პირველი ნაწილი ეთმობა აშშ-თურქეთის ურთიერთობების დინამიკას 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მეორე ნაწილი კი ევროკავშირთან განვითარებულ დაძაბულ ურთიერთობებს დროის იმავე მონაკვეთში. ორივე ნაწილში წარმოდგენილი და განხილულია ოფიციალური პირების განცხადებები და მათი გამოხმაურებები თურქეთის მიერ გატარებულ შიდა პოლიტიკისთან დაკავშებით.

მეექვსე თავი ნეორეალიზმის თეორიულ ჭრილში ხსნის საკითხს და აჩვენებს ცვლადებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

დასკვაში კი შეჯამებული იქნება ჩატარებული კვლევა და გაწეული შრომა.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

საინტერესოა დავადგინოთ რამდენად ფართოდ არის გამოკვლეული და შესწავლილი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზები რუსეთთან მიმართებით 2015 წლის კრიზისის შემდგომ. ამ მიზნის მისაღწევად მოცემულ თავში წარმოდგენილი იქნება კონკრეტული ავტორების მიერ დაწერილი ნაშრომების, პუბლიკაციებისა თუ სტატიების მიმოხილვა. გამოკვეთილი იქნება ის ძირითადი მოსაზრებები, რაც აქამდე უკვე დაწერილა აკადემიურ სივრცეში 24 ნოემბრის „თვითმფრინავის ინციდენტის“ შემდგომ თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათის ცვლილებაზე მოქმედ ფაქტორებთან დაკავშირებით. სხვადასხვა მკვლევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შეფასებების ხაზგასმის მეშვეობით შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დაგროვებული ცოდნისა და იდეების შეჯამება და სინთეზი მოცემულ თემასთან მიმართებაში.

საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერი და ჟურნალისტი, ჯონ კუტრუმპისი, თავის სტატიაში „რუსეთი და თურქეთი: ორაზროვანი ენერგეტიკული პარტნიორობა“ („Russia and Turkey: An Ambiguous Energy Partnership“) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ბუნებრივი აირის იმპორტი არის ის, რის გამოც თურქეთს აწყობს და სჭირდება რუსეთთან ურთიერთობა. ანკარა თავისი გაზის მარაგების, დაახლოებით, 50%-ის იმპორტირებას ახდენს რუსეთიდან და ამგვარად რუსული გაზის გასაღების მეორე უმსხვილეს ბაზარს წარმოაგენს. ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობითი ურთიერთობების დინამიკის საილუსტრაციოდ და თავისი მოსაზრების გასამყარებლად, სტატიის ავტორი განიხილავას ყველა იმ მნიშვნელოვან პროექტს, რაც გაფორმდა თურქეთსა და რუსეთს შორის. ჩამონათვალი იწყება თურქეთის რესპუბლიკასა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილი „დასავლეთის ხაზის პროექტით“ (The west Line Project), რაც წარმოადგენს ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებულ 1984 წლის უძველეს შეთანხმებას. ამას მოჰყვება 1996 წელს გაფორმებული „ლურჯი ნაკადის მილსადენი“ (Blue Stream Gas Pipeline). მალევე, 2002 წელს, ჩნდება „ლურჯი ნაკადი ორის“ (Blue Stream

Gas Pipeline II) იდეაც. თავისი არსით არანაკლებ მნიშვნელოვანია „ნაბუქოს ბუნებრივი აირის მილსადენი“ (Nabucco Natural Gas Pipeline), „ტრანს-ანტოლიის მილსადენი“ (Trans-Anatolia Gas Pipeline) და 2016 წელს ხელმოწერილი „თურქული ნაკადის ბუნებრივი აირის მილსადენის პროექტი“ (Turk Stream Natural Gas Pipeline Project). ამრიგად, ჯონ კუტრუმპისი გამოკვეთს ენერგეტიკულ თანამშრომლობაში არსებულ მჭიდრო კავშირებს, რაც მომგებიანია ორივე სახელმწიფოსთვის, ვინაიდან თურქეთი დამოკიდებულია რუსული გაზის იმპორტზე, ხოლო თავად რუსეთი თურქეთის გეოპოლიტიკურ მდებარეობას თავის სასიკეთოთ იყენებს (Koutroumpis, 2019).

ავტორის თქმით, სწორედ ენერგეტიკული ურთიერთობებია ეკონომიკური თანამშორმლობის ის ფუნდამენტური სფერო, რომელიც საშუალებას აძლევს ორ ქვეყანას ურთიერთსაწინააღმდეგო ამბიციების მიუხედავად, შეინარჩუნონ ბალანსი. თურქული მხარის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების ინციდენტი ავტორს მოჰყავს როგორც ერთ-ერთი რიგითი მაგალითი იმისათვის, რომ ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტური სიტუაციის სურათი აჩვენოს, რასაც მოჰყვება მისი განზოგადებული მსჯელობა, რომელიც წარმოაჩენს ენერგეტიკულ ურთიერთდამოკიდებულებას, როგორც უმთავრეს ფაქტორს, რომლის მეშვეობითაც მხარეებმა შეძლეს სწრაფად გადაეჭრათ უთანხმოება და დაესტაბილურებინათ ვითარება (Koutroumpis, 2019).

მოირა გოფ-ტეილორი, აშშ-ის მთავრობის ეროვნული უსაფრთხოების თანამშრომელი, პუბლიკაციაში, სხელწოდებით - „რატომ სჭირდება თურქეთს რუსეთი“ („Why Turkey Needs Russia“), საუბრობს იმ რამდენიმე ძირითად სფეროზე, რომელშიც 2015-2016 წლებში თურქეთ-რუსეთს შორის ურთიერთობათა გაუარესებამ განსაკუთრებულად გამოკვეთა რუსეთის მნიშვნელობა თურქეთისთვის. ავტორი უპირველეს ყოვლისა გამოკვეთს ეკონომიკას, როგორც ფაქტორს, რომელსაც წამყვანი როლი ჰქონდა და რამაც იმოქმედა ერდოღანის გადაწყვეტილებაზე ბოდიში მოეხადა რუსული მხარისთვსი 2015 წელს მომხდარი ინციდენტის გამო. მას შემდეგ, რაც მოსკოვმა აკრძალა თურქული ტურისტული ფირმების მუშაობა რუსეთში, ასევე შეაჩერა უვიზო მიმოსვლა და ჩარტერული ფრენები, ტურიზმის ინდუსტრიას დიდი ზიანი მიადგა, რუსი ტურისტები

რიცხვმა იკლო თურქეთში, შეინიშნებოდა ორნიშნა ინფლაცია, უმუშევრობის მაღალი დონე და საერთო კეთილდღეების საგრძნობი გაუარესება. გარდა ამისა, პუტინმა სანქციები დაუწესა თურქეთის სოფლის მეურნეობას, იმ კუთხით, რომ შეაჩერა თურქული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი რუსულ ბაზრებზე. შეზღუდა სამშენებლო კომპანიების მუშაობაც, რომლებიც ოპერირებდნენ რუსეთის ტერიტორიაზე (Goff-Taylor, 2017).

ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და სამშენებლო სექტორების შემგომ მოირა გოფ-ტეილორი საუბარს აგრძელებს უსაფრთხოების საკითხების განხილვით, რამაც ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანკარის მოსკოვთან კვლავ დაახლოების საქმეში. აქ საქმე ეხებოდა თურქეთის შეშფოთებას სირიის კრიზისთან დაკავშირებით, კერძოდ, ქურთების ავტონომიური რეგიონის შექმნის აღკვეთას მისი საზღვრების სიახლოვეს. ახლო სამეზობლოში არსებულმა დაძაბულობამ აიძულა თურქეთი უფრო მოქნილი ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თავად ერდოღანი სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის გადაყენების მომხრე იყო, ხოლო პუტინი კი პირიქით რეჟიმის შენარჩუნებას უწყობდა ხელს, თურქეთმა მაინც შეძლო და დაიწყო მოლაპარაკება რუსეთთან და კრიზისის გადასაჭრელად ერთობლივი დიპლომატიური გზების გამონახვა სცადა. ავტორის მოსაზრებით, შეინიშნება იმის ტენდენცია, რომ ერდორანი გაარძელებს პუტინთან თანამშრომლობას, რათა შეზღუდოს სირიელი ქურთების ძალაუფლება და რეგიონში მათი გავლენა (Goff-Taylor, 2017).

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების შემგდომ გოფ-ტეილორი ყურადღებას ამახვილებს თურქეთის დასავლეთთან ურთიერთობებზე. 2016 წლის ივლისის წარუმატებელი გადატრიალების შემდგომ თურქული მხარის მიერ გატარებული პოლიტიკა განსჯის საკითხი გახდა დასავლური სამყაროსთვის, რაც, რა თქმა უნდა, არასასურველი აღმოჩნდა თურქეთისთვის. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თურქეთი იყენებს რუსეთს საკუთარი ინტერესების გასატარებლად, რაც ამ შემთხვევაში მოიაზრება დასავლური ქვეყნებისთვის გაგზავნილი სიგნალი, რომ რუსეთთან კვლავ დაახლოებით მას ჰყავს ძლიერი მოკავშირე და შეუძლია მისგან მიიღოს მხარდაჭერა (Goff-Taylor, 2017).

მასაჩუსეტსის გეოპოლიტიკური ანალიტიკოსი, ჯონათან ჰოგენდორნი, თავის სტატიაში, სახელწოდებით - „ერდოღანის დიპლომატიური გახსნები: საერთაშორისო ძალაუფლების თამაში“ („Erdogan's diplomatic openings: An international power play“) განსაკუთრებულად გამოყოფს 2016 წელს თურქეთის ისტორიაში, როგორც მეგობრების ძიების ფაზას. იგი ამბობს, რომ ქვეყანა შეძრწუნებული იყო ტერორისტული თავდასხმებით, სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობით. რამდენადაც თურქეთსა და სირიას აქვს საერთო საზღვარი კონფლიქტმა გამოიწვია ტრანს-სასაზღვრო ინციდენტებიც. მოდიოდა სერიოზული საფრთხე ქურთი სეპარატისტების მხრიდან. ჰოგენდორნი ხაზს უსვამს იმას, რომ როდესაც თურქეთმა რუსეთის თვითმფრინავი ჩამოაგდო და ასეთ რადიკალურ გზას მიმართა, მაშინ მას არ ჰქონდა განზრახვა გლობალური მეგობრების რიცხვის ზრდისა, თუმცა საშინაო თუ საერთაშორისო კრიზისებმა გამოიწვიეს ერდოღანის საგარეო პოლიტიკაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. ანკარამ გადადგა ნაბიჯი მოსკოვთან პარტნიორობის განახლებისკენ „თვითმფრინავის კრიზისის“ შემდგომ. ეს საკმაოდ გონივრულ ნაბიჯად არის შეფასებული ავტორის მხრიდან, ვინაიდან მნიშვნელოვანი იქნებოდა საზღვრების დაცვის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. ჯონათან ჰოგენდორნი სტატიაში ენერგეტიკის სფეროსაც გამოყოფს. ამ მხრივ საუბრობს „თურქული ნაკადის პროექტის“ („The TurkStream Project“) მნიშვნელობაზე. პროექტი, რომელიც განხორციელებაც მიტოვებული იყო, შესაძლებელია გახდეს ინვესტიციების მთავარი წყარო რეგიონში. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს არა მხლოდ უფრო მეტი ბუნებრივი არის გადინებას რუსეთიდან თურქეთისკენ და ამ გზით სხვა რეგიონების მომარაგებას, არამედ უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას (Hoogendoorn, 2016).

ჰაბიბე ოზდალს, რომელიც გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასისტენტ-პროფესორი სტამბოლის ოკანის უნივერსიტეტში, თავის ნაშრომში - „რუსეთი და თურქეთი - პარტნიორები თუ მოწინააღმდეგეები?“ („RUSSIA AND TURKEY – PARTNERS OR ADVERSARIES?“) შემოაქვს ახალი ფაქტორი ლიდერთა როლის სახით. იგი გამოკვეთს ქვეყნის წამყავნი პოლიტიკური პირების მნიშვნელობას. სწორედ მათი დამსახურებით ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო კავშირები, რისი მეშვეობით

თურქეთმა და რუსეთმა მრავალწლიანი ურთიერთობების განვითარება მოახერხეს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ერდოღანი და პუტინი საერთაშორისო სტრუქტურას მსგავსი მსოფლმხედველობით განიხილავენ. ორივე მათგანს სურს შეამციროს დასავლეთის ჩართულობა რეგიონში, ორივე უპირისპირდება დასავლეთის დომინირებას გლობალურ ასპარეზზე, განსაკუთრებით კი აზიის კონტინენტზე. მიუხედავად უთანხმოებისა, რაც წარმოიშვა რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ, ამ პიროვნულმა კავშირებმა და საერთო ინტერესებმა უბიძგა ანკარასა და მოსკოვს კვლავ თანამშრომლობის აღდგენისკენ. სირიის კრიზის გამო დღის წესრიგში ერთად მუშაობის საჭიროება დადგა. ავტორი იმასაც დასძენს, რომ ორმხრივი ურთიერთობების სუსტი წერტილი ინსტიტუციონალიზმის ნაკლებობაა. მოცემულ სტრუქტურას აქვს ხარვეზები, რაც გამოვლინდა კიდევაც სამხედრო თვითმფრინავის კრიზისის დროსაც. ლიდერთა როლი უფრო ეფექტურად მუშაობს პირდაპირი დიალოგების დროს. ჰაბიბე ოზდალი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პოლიტიკურ ელიტებს შორის ნდობის ნაკლებობა არსებობს, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონულ უსაფრთხოებას. ამ მხირვ ორმხრივი თანამშრომლობა საკმაოც დაუცველია (Ozdal, 2021, p. 3-4).

მოკლედ რომ შევაფასოთ ავტორთა მოსაზრებები და მიდგომები შეიძლება ითქვას, რომ ჯონ კუტრუმპისი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს, იგი არ არის ამომწურავი. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების მამოძრავებელ ძალად მხოლოდ ენერგეტიკული რესურსების განხილვა არ იძლევა სრულ და სიღრმისეულ ანალიზს საკითხისა. მისგან განსხვავებით, მოირა გოფ-ტეილორი შედარებით მრავალფეროვანი ასპექტით განიხილავს თემას. ერდოღანის გადაწყვეტილებაზე (ბოდიში მოეხადა რუსული მხარისთვსი 2015 წელს მომხდარი „თვითმფრინავის ინციდენტის“ გამო) მოქმედ ფაქტორთა შორის ასახელებს ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სფეროებში არსებულ ჩავარდნებს. გარდა ამისა, გამოკვეთს უსაფრთხოების საკითხებს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში, რაც უკავშირდება თურქეთ-სირიის საზღვართან ქურთების ავტონომიური რეგიონის შექმნის საშიშროებას, დასასრულს კი საუბარს ამთავრებს დასავლეთის როლის გამოკვეთით.

ზემოქმედ ფაქტორთათვის ამგავრი თანმიმდევრობის მინიჭება მეტყველებს იმაზე, თუ რომელი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ავტორს. მთელი ნაშრომის დაახლოებით მხოლოდ 20% ეთმობა დასავლეთთან გაუარესებული ურთიერთობების გავლენას ერდოღანის საგარეო პოლიტიკაზე. როგორც ვხედავთ, მოირა გოფ-ტეილორი ამ დამოუკედებელ ცვლადს სათანადოდ არ განიხილავს და სტატიის ბოლო ნაწილს უთმობს. მისთვის წამყავნი როლი ეკონომიკას ენიჭება და სწორედ მასზე საუბრით იწყება ნაშრომიც. ჯონათან ჰოგენდორნი თურქეთის საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს უფრო მეტად უსაფრთხოების შენარჩუნების კონცეფციის ჭრილიდან ხედავს. რუსეთთან დაახლოებას იგი მიიჩნევს როგორც საზღვრების დაცვის პოლიტიკის გატარებისასთვის მნიშვნელოვან იარაღს. გარდა ამისა, ენეგეტიკის სფეროზე საუბრით ამდიდრებს თავის მსჯელობას. როგორც ვხედავთ, დასავლეთზე აქცენტს არ აკეთებს და შესაბამისად, მისი ანალიზი ამ კუთხით არ არის განვითარებული. ჰოგენდორნისგნა განსვავებით, ჰაბიბე ოზდალი შედარებით მეტ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სტრუქტურას და თურქეთის სურვილს - დასავლეთის ჩართულობის შემცირება რეგიონში. რადგანაც მსგავსი ინტერესები ამოძრავებს რუსეთს, ორმა მხარემ, პიროვნულ კავშირებზე დაყრდნობით, მოახერხა დაძაბულობის განმუხტვა და კვლავ მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნება.

კვლევის ფრაგლებში მიმოხილული ლიტერატურაზე დაყრდნობით უპირველს ყოვლისა იმის თქმა შეიძლება, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის კვლევა რუსეთთან მიმართებით მუდამ აქტუალურ თემად რჩება. მოცემულ თავში განხილული ავტორების სტატიები, პუბლიკაციები, ნაშრომები თარიღდება 2016, 2017, 2019 და 2021 წლებით. ამ წლების განმავლობაში მუდმივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ერდორანის დიპლომატიის შესწავლა. გამოიკვეთა განსხვავებული მიდგომები იმასთან დაკავშირებით თუ კონკრეტული ავტორები რა მიზეზებიით ხსნიან თურქეთის რუსეთთან დაახლოების ნაბიჯს. თითოეული მათგანი საკმაოდ საინტერესო ანალიზს გვთავაზობს, თუმცა არა იმ კუთხით, რა კუთხით შესწავლასაც ემსახურება წინამდებარე ნაშრომი. ნაშრომის მიზანია არსებული საკითხი განსხვავებული პერსპექტივიდან წარმოაჩინოს, რაც გულისხმობს დასავლეთთან გაუარესებული ურთიერთობების

გავლენის გამოკვეთას, როგორც ერდოღანის ქმედებაზე მოქმედ მთავარ ფაქტორად, რამაც საბოლოოდ ანკარა მოსკოვთან თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენისკენ მიიყვანა, ხოლო დასავლეთისგან უფრო მეტი დისტანცირება გამოიწვია.

თავი II. თეორიული ჩარჩო - ნეორეალიზმი

ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების დასადგენად, ნაშრომში გამოყენებული იქნება ნეორეალიზმის თეორია, რომელიც 2015-2016 წლებში თურქეთისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორის - მკვეთრი დაპირისპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე - ცვლილების გაანალიზებაში დაგვეხმარება. რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი ცდილობს გაანალიზოს თურქეთის საგარეო პოლიტიკის თავისებურებები, მისი ვექტორის ცვლილება და გამოავლინოს მთავარი ამხსნელები ამ ცვლილებისა, მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ნეორეალიზმის თეორიის გამოყენება. აღნიშნული თეორია საშუალებას იძლევა რეალურ პოლიტიკურ დროში მიმდინარე მოვლენა განხილული იყოს აბსტრაქტულად ისე, რომ არ დაიკარგოს ლოგიკური მიმართება მათ შორის.

ნეორეალიზმი აქცენტს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაზე აკეთებს და სახელმწიფოთა ქცევას სწორედ სტურქტურის თავისებურებებიდან გამომდინარე ხსნის (აკობია, 2006, გვ. 25). ნეორეალიზმის თეორიით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ერდოღანმა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, მიუხედავად იმისა, რომ მასთან დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა. ნაშრომი ეცდება დაასაბუთოს მოსაზრება, რომ დასავლეთისგან დისტანცირება იყო თურქეთის იმდროინდელი მთავარი საგარეო პოლიტიკური ინტერესი და ამის მისაღწევად თურქეთის პრეზიდენტმა ჩვეული საგარეო კურსისგან განსხვავებული და არასახასიათო ნაბიჯი გადადგა: ბოდიში მოიხადა და ისტორიულ მტერთან თანამშრომლობის გაგრძელების ინიციატივა წამოჭრა.

ნეორეალიზმი, რომელიც ასევე ცნობილია სტრუქტურული რეალიზმის სახელით, არის სისტემური დონის თეორია, რომელიც წარმოადგენს კლასიკური რეალიზმის იდეებია და დებულებების განშტოებას. იგი იზიარებს რეაზლიმის მოსაზრებებს, თუმცა ძალაუფელბისთვის ბრძოლისა და მეტოქეობის მიზეზებს საერთაშორისო სისტემის ბუნების ფუნქციონირებით ხსნის და არა თავად სახელმწიფოტა ბუნებიდან გამომდინარე. ეს თეორია დომინირებს მეცნიერულ აზროვნებაში და გამოყენება ფართოდ საკითხთა ანალიზის დროს.

ნეორეალიზმის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს ქენეთ უოლცის წიგნი „საერთაშორისო პოლიტკის თეორია". იგი განმარტავს, რომ საერთაშორისო-პოლიტიკური სისტემები ყალიბდება მასში მონაწილე ორგანიზმების ორმხრივი აქტივობისა და თანაარსებობის საფუძველზე. ქალაქ-სახელმწიფოები, ერები თუ იმპერიები არიან ძირითადი მოქმედი ერთეულები და ამასთანავე შემქმნელნი საერთაშორისო სტრუქტურების. საერთაშორისო სისტემაში, მართალია, სახელმწიფეობი არიან თავისუფალნი, თუმცა ამასთანავე დაუცველნი. სისტემის სუბიექტები იცოცხლებენ, გაძლიერდებიან თუ განადგურდებიან ეს თავიდან ბოლომდე არის დამოკიდებული მათ ძლიერებაზე და თვითდახმარების პრინციპზე. გარდა ამისა, არც ერთი აქტორი არ მიიღებს მონაწილეობას ისეთი სტრუქტურის ფორმირებაში, რომელშიც იგი შეზღუდული იქნება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო-პოლიტიკური სისტემების წარმოქმნა სპონტანურად ხდება და ეს გაუთვალისწინებელი პროცესია (Waltz, 1979, p. 91).

ქენეთ უოლცმა ერთმანეთისგან გამოყო და ჩამოაყალიბა სამი ძირითადი კონცეფცია, რომელიც გვეხმარება უკეთესად გავიგოთ საერთაშორისო პოლიტიკა. ეს კონცეფციებია: სტრუქტურა, სისტემა და სისტემის ელემენტები. სისტემა წარმოადგენს სტრუქტურისა და ელემენტების ერთობლიობას. სტრუქტურა საშუალებას გავძლევს სისტემის მთლიანობა აღვიქვათ და ასევე იგი განსაზღვარს ელემენტების მოწყობას (აკობია, 2006, გვ. 25).

ზოგადად საერთაშორისო სისტემაში რისკების თავიდან არიდება შესაძლებელია თუ იარსებებს უფლებამოსილების მქონდე ზემდგომი ეფექტური სააგენტო, რომელსაც

მართვის ფუნქციები მიენიჭება და გაფართოვდება მოქმედი წესები ყველასთვის ე.წ. „საერთაშორისო მთავრობის“ მთავარი ამოცანა ჯგუფის წევრების კონტროლის შენარჩუნება უნდა იყოს. პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებისას ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი უნდა იყოს ორგანიზაციის უწყვეტობისა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და არა ორგანიზაციის შემადგენელი წევრების მიზნების განხორციელება (Waltz, 1979, p. 111). მაგრამ რადგანაც საერთაშორისო სისტემაში ჩვენ გვაქვს ანარქიული პირობები, მოქმედმა ერთეულებმა, იქნება ეს სახელმწიფოები, კორპორაციები, ადამიანები თუ სხვა, თვითდახმარება (self-help) უნდა გამოიყენონ როგორც უსაფრთხოების შენარჩუნებისა და მიზნების მისაღწევი გზა.

ანარქიაში ავტომატური ჰარმონია არ სუფევს. ნებისმიერ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოიყენოს ძალა თავისი პოლიტიკსი განსახორციელებლად. სახელმწიფო აფასებს წარმატების პერსპექტივებს და ამის შემდგომ ის გადაწყევტს გამოიყენოს თუ არა ძალა თავის მიზნების მისაღწევად და ღირს თუ არა უარის თქმა მშვდობის სიამოვნებაზე. იმის გამო, რომ სისტემაში ვერასდროს ვერ გათვლი წინასწარ რომელი აქტორი დაიწყებს თავისი ძლიერების დემონსტრირებას, ყველა სახელმწიფო მუდმივად მზადყოფნაშია, რომ გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად ან მოუწევს გადაიხადოს სისუსტის საფსური (Waltz, 2001, p. 160).

რაც უფრო ძლიერი და გავლენიანია სისტემის მოქმედი სუბიექტი, მით უფრო ცდილობს იგი, რომ გაზარდოს თავისი უსაფრთხოება და გააფართოვოს კონტროლის საზღვრები. ძალა გამოიყენება საკუთარი ინტერესებისთვის. ამაზე საპასუხოდ, ანარქიულ წესრიგში მყოფი სხვა შედარებიტ სუსტი ერთეულები მიმართულნი არიან იმისკენ, რომ უზრუნველყონ თავისი კეთილდღეობა და იმოქმედონ საკუთარი თავის გადასარჩენად. ისინი კონცენტრირებულნი არიან პრობლემის გადაჭრაზე და ამისთვის მზად არიან, მიაღწიონ მინიმალურ შეთანხმებას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ იარსებონ ცალკე, მაგრამ უსაფრთოების გარანტიებით. ამ დროს კი, რა თქმა უნდა, არ ექცევა არანაირი ყურადღება ორგანიზაციის შენარჩუნებას. საერთაშრისო დონეზე არ არებობს მთავრობა. აქ გვაქვს მხოლოდ მსოფლიო ჰეგემონობისკენ მისწაფება, რომელიც საფრთხეს უქმნის სისტემის ზოგიერთ წევრს. ძლიერი აქტორის მოქმედებამ შეიძლება შეაფერხოს სუსტი ორგანოების მიზენები და ინტერესები, თუმცა სრულიად არ აღკვეთოს

მათი მოქმედების თავისუფლება და შესაძლებლობების ზღვრული ზრდა. საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არსებობს მორჩილების სურვილი და ავტორიტეტული რეგილირება, მხარეები ცდილობენ თავად შეინარჩუნონ ან გააუმჯობესონ თავიანთი პოზიციები იმ საშუალებით, რომელიც უფრო ეფექტური იქნება შექმნილი სიტუაციის განვითარების პარარელურად, იქნება ეს მოზასრებების გაცვლა, მანევრირება, ომი, ვაჭრობა თუ სხვა. მხარეები ერთდორულად განცალკევებულნიც არიან და ურთიერთდაკავშირებულნიც. აქტორები გრძნობენ ერთმანეთს და ასე რეაგირებენ ერთმანეთზე (Waltz, 1979, p. 112-113).

სტრუქტურული რეალიზმი ხაზს უსვამს ანარქიის გავლენას შესაძლებლობების განაწილებაში. სტრუქტურა წარმოიქმნება სახელმწიფოთა ურთიერთქმედების ვარიაციებით და განისაზღვრება დიდი სახელწმიფოების ცვალებადი ბედით. სუსტ აქტორებს ნაკლები არჩევანი აქვთ, ამიტომ ცდილობენ წინასწარ აწარმოონ ხელსაყრელი მოლაპარაკება, სანამ სისტემის გამარჯვებული გამოვლინდება. საინტერესო მოვლენას წარმოადგეს ის, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ერთ დროს შესაძლოა მტრები იყვნენ ერთმანეთის, საერთო საფრთხის აღმოჩენის შემდეგ მოკავშირეობრივი ურთიერთობების ჩარჩოში აგრძელებდნენ ურთიერთქმედებას. მათი ალიანსი სტრუქტურულად იყო გამოწვეული (Donnelly, 2005, p. 35-36).

თეორიული კუთხით აუცილებელია განვაცალკევოთ ნეორეალიზმის ორი მიმართულება თავდასხმითი და თავდაცვითი რეალიზმი. თავდაცვითი რეალიზმის გადმოსახედიდან, სტატუს-კვოს შენარჩუნება წარმოადგენს სახელმწიფოების ყურადღების საგანს. მათი მიზანია შეინარჩუნონ ძალა და არა გაზარდონ იგი. ამგავრი აქტორებისთვის მნიშვნელოვანია სისტემაში ძალთა ბალანსის უცვლელობის უზრუნველყოფა. განსხვავებით თავდაცვითისა, თავდასხმითი რეალიზმი ამტკიცებს საპირისპიროს და ამბობს, რომ სახელწმიფოები ილტვიან თავიანთი ძლიერების გაზრდისკენ. მათი მიზანი ჰეგემონობის მოპოვებას წარმოადგენს. ამის შესაძლებლობას კი საერთაშორისო სისტემა მათ სთავაზობთ ხოლმე, როგორც წესი (აკობია, 2006, გვ. 30).

შეჯამების სახით, შეიძება ითქვას, რომ ნეორეალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს წესები, ნორმები, კანონები, იდეოლოგიები და სხვა აღიარებული ფაქტორები,

საერთაშორისო სისტემას მაინც ანარქიულად განიხილავს, რაც გავლენას ახდენს ცალკეული მთავრობების ქცევაზე. თეორია ცდილობს საერთაშორისო სტრუქტურით ახსნას შედეგის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორები.

თავი III. „თვითმფრინავის კრიზისის“ გამომწვევი ისტორიული წინაპირობები

3.1 თურქეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონით ინტერესდება

მოგეხსენებათ, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. მისი საგრეოპოლიტიკური კურსი მრავალი წლის განმავლობაში დასავლეთის სამყაროს ზაგავლენით წარიმართებოდა, ამას ემატებოდა ევროპულ სტრუქტურებში მოღვაწეობა, რაც საკმაოდ დიდ ყურადღებას მოითხოვდა, ამის გამო ანკარა ნაკლებ აქცენტს აკეთებდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, თუმცა თურქეთის პოლიტიკა ძირეულად შეიცვალა ახალ მილენიუმში.

2002 წელს თურქეთის რესპუბლიკის სათავეში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიია“ (AKP) მოდის. ქვეყნის საგერეო პოლიტიკა მრავალვექტორული ხდება. ხელისუფლების წარმომადგენლები იწყებენ აქტიური მცდელობების განხორციელებას იმისათვის, რომ ანკარა საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალურ აქტორად აქციონ. აჰმედ დავუთოღლუს ცნობილი ნაშრომი „სტრატეგიული სიღრმე“, რომელიც თავისი არსით ოსმანიზმის იდეებზეა ორიენტირებული, წარმოადგენს მთავარ სახელმძღვანელოს თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა. დავუთოღლუ პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოსტს იკავებდა 2003-2009 წლებში, 2009-2014 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, ხოლო 2014-2016 წლებში პრემიერ-მინისტრი იყო. აქედან გამომდინარე იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმოების საქმეში. იგი ამტკიცებდა, რომ თურქეთი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ რეგიონული ძალის როლით, არამედ თავისი სტრატეგიული მდებარეობის წყალობით გლობალური მოთამაშის სტატუსის მოპოვებაც შეეძლო. ქვეყანას უნდა გაეზარდა ჩართულობა ისეთი რეგიონების საქმიანობაში როგორიცაა: ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთი, კავკასია, ბალკანეთი, შავი, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთი, სპარსეთის ყურის ქვეყნები. ამასთან

საერთაშორისო დონის სუბიექტებთან: ჩინეთთან, რუსეთთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან, მჭიდრო კავშირების განვითარება თურქეთის განახლებული დიპლომატიის მთავარი გასაღები უნდა ყოფილიყო (Grigoriadis, 2010, p. 4-6).

აჰმედ დავუთოღლუს „სტრატეგიული სიღრმის“ დებულებებმა შედეგად გამოიღო ის, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკა მკაცრად დასავლური ორიენტაციისკენ გადაიხარა. უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათთან ურთიერთობების გაღრმავებას, დიპლომატიურ მოლაპარაკებეს და საერთო ინტერესებზე კონცენტრირებას.

თურქეთმა 1990-იანი წლების ბოლოს უკვე დაიწყო სოციალური და პოლიტიკური განვითარების გზების დასახვა. მან მიაღწია ეკონომიკურ ზრდას. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის თურქეთი ახალი, მზარდი პოლუსი გახდა, რომელსაც ჰქონდა ამბიციური გეგმები. მისი პოლიტიკა იმართებოდა შემდგომი მოტივით: „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“. ამ მიზნის მისაღწევად თურქეთმა განავითარა ეკონომიკური და პოლიტიკური კავშრები. გარდა ამისა, AKP-ის ლიდერები გამორჩეოდნენ თავდაჯერებულობითა და ამბიციურობით, რამაც ანკარა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ცენტრში მოაქცია (Almuedo, 2011).

3.2 სირიის კრიზისი, როგორც „სტრატეგიული სიღრმის“ დოქტრინის გამოწვევა

არაბულმა გაზაფხულმა გამოავლინა ის რეალობა, რომ მეზობელ ქვეყნებთან აქამდე არსებული მჭიდრო კავშირები ნაკლები მოქნილობით ხასიათდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ „სტრატეგიული სიღრმის“ დოქტრინას საბედისწერო დარტყმა სირიაში 2011 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა მიაყენა და ამანვე გაამწვავა თანანშრომლობითი ხასიათის ურთიერთბები რუსეთთან.

თურქეთი და რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ერთმანეთის კონკურენტებად მოიზრებოდნენ, შეძლეს და დაამყარეს „ახალი სტრატეგიული პარტნიორობა“, თუმცა მათ ურთიერთობას სრულ ჰარმონიულობას

მაინც უკარგავდა ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ქურთების საკითხი, კვიპროსის თავსატეხი და სომხეთის გარშემო არსებული უთანხმოება. შეიძლება ითქვას, რომ ანკარა საკმაოდ ფრთხილ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთთან მიმართებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მან გამოიჩინა საკმაო სენსიტიურობა რუსეთის კონკრეტულ ქმედებებთან დაკავშირებით, მაგ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და 2014 წლის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს. ამ საგულისხმო ფაქტისდა მიუხედავად, თურქეთის რესპუბლიკამ საკმაოდ ხისტი პოლიტიკა გამოიყენა სირიის რეგიონის მიმართ, რასაც პირდაპირი უარყოფითი შედეგები მალევე მოჰყვა. სირიის სამოქალაქო ომმა, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ ერთ-ერთი შედეგი იყო, თურქეთსა და რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობებს სამომავლო განვითარებისთვის კრიზისული გარემო შეუქმნა. ორივე ქვეყანის უკომპრომისო პერსპექტივებმა სირიის მიმართ 2015 წლის ნოემბერში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებამდე მიგვიყვანა მხარეები. მათ შორის მზარდმა უთანხმოებამ კი რეგიონული ბალანსი შეცვალა და დაძაბულობა წარმოშვა (Ruïma & Çelikpala, 2019, p. 66-69).

რაც შეეხება უშუალოდ სირიის კრიზისს: 1970 წელს სირიის სათავეში ჰაფეზ ალ-ასადი მოვიდა. მთელი თავისი მმართველობის პერიოდში იგი ატარებდა ეკონომიკური განვითარებისა და სამხედრო ძალების გაძლიერებისაკენ მიმართულ პოლიტიკას. მან დაამყარა ერთპიროვნული მმართველობა სახელწიფოში და დაუნდობელი სისასტიკით ახშობდა ოპოზიციურად განწყობილ მოძრაობებს. ჰაფეზ ალ-ასადმა თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად ქვეყანა რელიგიური თვალსაზრისით დაყო: მაღალ ეშელონებში ალავიტები იყვნენ წარმოდგენილნი, ამით კი მოსახლეობის სუნიტური უმრავლესობა უკმაყოფილო იყო. ჰაფეზ ალ-ასადის გარდაცვალების შემდეგ, 2000 წელს, ქვეყნის სათავეში მისი ვაჟი, ბაშარ ალ-ასადი მოდის. მან ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინა პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მამამისის სამმართველო სისტემისათვის დამახასიათებელი რიტორიკა გააგრძელა. ბაშარის რეჟიმი დიდი დებატების საგანი იყო ჯერ კიდევ 2011 წლამდე, სანამ აჯანყებები დაიწყებოდა (Khan & Khan, 2017, p. 560-561).

2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ დაწყებამ სათავე დაუდო საპროტესტო აქციებს სირიაში. მეამბოხე ჯგუფები „ასადების დინასტიის“ წინააღმდეგ გამოვიდა. სირიელი ხალხი მთავრობის გადაყენებას მოითხოვდა. მათ სურდათ ის, რაც ტუნისსა და

ეგვიპტეში უკვე მოხდა. არაძალადობრივი პროტესტი მალევე გადაიზარდა სრულმასშტაბიან სამოქალაქო ომში. 1 მილიონზე მეტი ადამიანი დაშავდა, ხოლო 470 000-ზე მეტი კი ემსხვერპლა ამბოხებულების წინააღმდეგ მიმართულ მკაცრ ზომებს. ბაშარ ალ-ასადმა ათასობით მომიტინგე მოკლა. აწარმოებდა უსამართლო დაპატიმრებების სერიას. 2011 წლის მარტში 15 სირიელი სკოლის მოსწავლე დააატიმრეს. ბავშვები აწამეს მათ მიერ დახატული გრაფიტის გამო, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ მოტივებით იყო შექმნილი. ხალხის პროტესტის მიზეზს მთავრობის არაკომპეტენტურობა, თავისუფლების ნაკლებობა და მძიმე საცხოვრებელი პირობები წარმოადგენდა, წინააღმდეგობის ტალღა კი „არაბულმა გაზაფხულმა“ უფრო მეტად გააძლიერა. ომის დაწყების დღიდან მომევნო პერიოდში ვითარება გაცილებით გართულდა. რეგიონში სხვა ქვეყნები და ორგანიზებული მებრძოლები ჩერთვნენ. მიმდინარე კონფლიქტმა ტერორისტული ორგანიზაციების ქმედებებიც კი წაახალისა (Marks, 2018).

3.3 თურქეთი საგარეო პოლიტიკას ცვლის სირიასთან მიმართებაში

ურთიერთობები თურქეთსა და სირიას შორის უფრო მეტად ფოკუსირებული გახდა რეგიონალურ საკითხებზე ცივი ომის დასრულების შემდგომ. ბიპოლარულ სამყაროში მაშინ, როცა თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფო იყო, ხოლო სირია საბჭოთა კავშირის მოკავშირე, ორივე ქვეყანა დაპირისპირებულ მხარეებზე იმყოფებოდა (Carley, 1995, p. 16).

სირიასთან ურთიერთობების გაუმჯობესება მას შემდეგ იწყება, რაც ქვეყნის სათავეში ბაშარ ალ-ასადი მოვიდა. რეჯეფ თაიფ ერდოღანი მეზობელ სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობების განვითარებას ცდილობდა. 2009 წლისთვის მხარეებს 50-ზე მეტი ოფიციალური მემორანდუმი და სტარტეგიული მნიშვნელობის ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული. ორმა ქვეყნამ ერთმანეთთან გააუქმა სავიზო მოთხოვნები და საფუძველი ჩაუყარა გამარტივებულ ტრანს-სასაზღვრო გადაადგილებებსა და საქონელბრუნვას. თურქეთი სირიის კრიზისის დაწყების პერიოდში თავშეკავებული

პოლიტიკით შემოიფარგლებოდა. ერდოღანი მოუწოდებდა ალ-ასადს გადაედაგა გარკვეული ნაბიჯები, რათა ქვეყნაში ვითარება დაესტაბილურებინა (Haran, 2016, p. 7).

თურქეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ ალ-ასადის რეჟიმი მოახერხებდა მშვიდობიან გადასვლას დემოკრატიაზე, გაატარებდა რეფორმებს, თუმცა მოლოდინი მალევე შეცვალა იმედგაცრუებამ. ერდოღანმა სირიის მმართველ ელიტას „ბარბაროსობაში“ დასდო ბრალი. ანკარამ ოპოზიციის მხარე დაიჭირა და ახლა იგი უკვე ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა. თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სირია „ნათელ და ამჟამინდელ საფრთხედ“ განიხილებოდა და ნებისმიერი სამხედრო ელემენტი, რომელიც მოუახლოვდებოდა თურქეთის საზღვარს აღიქმებოდა, როგორც უსაფრთხოების გამოწვევა და სამხედრო განადგურების სამიზნე.

როდესაც პირველი სირიელი ლტოლვილები შემოვიდნენ თურქეთში, თურქეთის ხეისუფლებამ სირიის არმიიდან დეზერტირებულ სამხედრო მოსამსახურეებს საშუალება მისცა მოეწყოთ ბანაკები თურქეთის ტერიტორიაზე და შეექმნათ ქვედანაყოფი. 23 აგვისტოს ამ სამხედრო შენაერთებმა ოფიციალურად ჩამოაყალიბეს „სირიის თავისუფალი არმია“. ეს წარმოადგენდა სირიის მთავრობის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ არმიას. გარდა ამისა, ერდორანმა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნა რაზმები, რომელთა რიგებში რადიკალური ისლამისტები ირიცხებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ანკარა მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებდა ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ გამოსულ მეამბოხეებს, რომელთა უმთავრეს მიზანს რეჟიმის დამხობა წარმოადგენდა. ამრიგად, ერდოღანმა ძალიან მალე მიიღო კონფრონტაციული პოზიცია თავისი ყოფილი მეგობრის მიმართ (Phillips, 2012, p. 6).

სირიის კრიზისის მიმართ გამოვლენილი ინტერესი უკავშირდება თურქეთის მთავარ საზრუნავს ამ რეგიონში, კერძოდ, სირიის ტერიტორიიდან ქურთთა სეპარატისტული ტალღის გავრცელების აღკვეთას. თურქეთის ტერიტორიაზე ქურთებს „ქურთთა მუშათა პარტიის“ (PKK) სახით შექმნილი აქვთ პოლიტიკური ერთობა, რომელიც უკიდურესად მწვავე და დაპირისპირებულ იდეოლოგიურ ურთიერთობაშია თურქეთის ხელისუფლების მიმართ. თურქეთისა და სირიის საზღვრის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ეთნიკურად ქურთებს შეადგენს. მათ ერთმანეთთან

აკავშირებთ ნათესავური კავშირები, რაც საფუძველს ქმნის იდეოლოგიური დაახლოებისა. ქურთთა სეპარატისპული მოძრაობა ყოველთვის დიდ საფრთხედ აღიქმებოდა ანკარისთვის, „ქურთთა მუშათა პარტია“ ტერორისტულ ორგანიზაციადაც კი არის გამოცხადებული თურქეთში. სირიის კრიზისის დროს თურქეთის საზრუნავს ქურთების სეპარატისტული ტალღის ძალადობის პრევენცია და შიდა კონფლიქტის თავიდან არიდება წარმოადგენდა. სირიელი ქურთების ავტონომიის შექმნა ეწინააღმდეგებოდა თურქეთის ეროვნულ ინერესებს, ამიტომ იგი მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ნაციონალიზმის განწყობა თურქეთის საზღვარზეც არ გადასულიყო (Zulham et al., 2020, p. 88-91).

3.4 რუსეთის ინტერვენციიდან „თვითმფრინავის კრიზისამდე“

2015 წლის სექტემბერში ოფიციალურად იწყება რუსეთის სამხედრო ინტერვენცია სირიის რეგიონში. ბაშარ ალ-ასადმა რუსეთის პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი ითხოვდა სამხედრო დახმარებას მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოკავშირისა და მხარდამჭერის მხრიდან. 30 სექტემბერს რუსეთის პარლამენტმა დაამტკიცა ვლადიმერ პუტინის მოთხოვნა, რომ საჰარეო დარტყმები განეხორციელებინათ სირიაში (BBC, 2015). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რუსეთი აქტიურად იცავდა სირიას გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე და ბლოკავდა რეზოლუციებს, რომლებიც მიემართებოდა ასადის რეჟიმის დამხობას. მოსკოვი ასადის რეჟიმის დამხობას როგორც გადაუვალ მოვლენას ისე ხედავდა, ამიტომ საჭიროდ ჩათვალა დახმარებოდა მმართველ ელიტას თავისი ინტერვენციით.

2011 წლისთვის, როცა სირიის კრიზისი დაიწყო, რუსეთი არ გეგმავდა არანაირ ფართომასშტაბიან სამხედრო ხასიათის ინტერვენციას. ნაცვლად ამისა, დიდ მნიშვნელობას სძენდა ვითარების დასტაბილურებას მოლაპარაკებებისა და დიპლომატიის გზით. უპირატესობას ანიჭებდა პირდაპირი სამხედრო ქმედებების თავიდან აცილებას. მიუხედავად ამისა, მოსკოვმა 2015 წელს მიანც გადაწყვიტა

პრევენციული ზომების მიღება. რეალური გახდა ის ფაქტი, რომ ასადის რეჟიმის დამხობა მძიმე შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთისთვის.

სირიაში რეჟიმის დაცემა რეგიონულ მოკავშირეს დააკარგვინებდა მოსკოვს და აგრეთვე საფრთხეს შეუქმნიდა მის ეროვნულ ინტერესებს. ეს იყო ერთგვარი შიში „ფერადი რევოლუციების“ პოტენციური წარმატების მიმართ. ერთი წლით ადრე თავად რუსეთის მწვავე რეაქცია გამოიწვია უკრაინაში მეიდანის რევოლუციამ, რაც ყირიმის ანექსიით დასრულდა. ამან თავის მხრივ გამოიწვია დასავლეთის სანქციების ნეგატიური ეფექტი, რაც აისახა რუსეთის ეკონომიაზე. შეიძლება ითქვას ერთგავრი ბიძგის მომცემიც კი იყო რუსეთის დაძაბული ურთიერთობები დასავლეთთან. უკრაინის კრიზისის გათვალისწინებით ამჯერად სირია საშუალებას მისცემდა მოსკოვს ზეგავლენა მოეხდინა დასავლეთზე და მის გავლენაზე რეგიონში (Petkova, 2020).

რუსეთმა თავისი ავიაცია თურქეთის საზღვართან საკმაოდ ახლოს განალაგა და პერიოდულად ახორციელებდა მანევრირებებს. ამ დროს რეალურად არღვევდა თურქეთის სახელმწიფო საზღვრებს. ამ შექმნილმა ისტორიულმა წინაპირობამ მიგვიყვანა სწორედ „თვითმფრინავის“ კრიზისთან. თურქულმა მხარემ 2015 წლის 24 ნოემბერს ჩამოაგდო რუსეთის სამხედრო ტიპის თვითმფრინავი საჰაერო სივრცის დარღვევის გამო და ეს იყო პირველი შემთხვევა 1950-იანი წლების შემდეგ, როდესაც ნატოს წევრმა სახელმწიფომ განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა რუსეთზე. მოსკოვს საკმაოდ მწვავე გამოხმაურება ჰქონდა ამ მოვლენასთან დაკავშირებით. შეწყდა პოლიტიკური მოლაპარაკებების სერია ანკარასთან და თურქული ეკონომიკა რუსული სანქციების წნეხის ქვეშ მოექცა.

თავი IV. ეკონომიკური სანქციების შედეგი

სამხედრო ტიპის თვითმფრინავის ჩამოგდება არ იყო მხოლოდ ლოკალური მასშტაბის დაპირისპირება რუსეთსა და თურქეთს შორის. იგი მართალია, სირიის კრიზისი გამო დაიწყო, თუმცა ძალიან მალევე გადაიზარდა სერიოზულ დაძაბულობაში, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ორი ქვეყნის ურთიერთობების მომავალი, განსაკუთრებით მათ შორის არსებული ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები.

მოსკოვმა ანკარას თვითმფრინავის ჩამოგდებაზე საკმაოდ სერიოზულად უპასუხა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააუქმა წინასწარდაგეგმილი ვიზიტი ანკარაში. როდესაც ერდოღანმა სიტუაციის გამოსწორება სცადა და გადაწყვიტა დაერეკა პრეზიდენტ პუტინთან, პუტინმა უარი თქვა მასთან საუბარზე. თურქეთმა კიდევ ერთი უარი მიიღო, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის ინიციატივა წამოჭრა (Al Jazeera, 2015).

ვლადიმერ პუტინმა თურქეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების მთელი პაკეტი გამოცხადა. მან ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც საკმაოდ მკაცრ ზომებს იღებდა. ასევე განაცხადა, რომ თურქეთის მოსახლეობას, რომელიც რუსულ კომპანიებში იყო დასაქმებული, დაუწესდებოდათ შეზღუდვები და გარდა ამისა, რუსეთში არსებული თურქული ფირმების მუშაობაც შეფერხდებოდა (Jenkins, 2015). უფრო კონკრეტულად კი რუსეთის მთავრობის გამოცემული დადგენილება ითვალისწინებდა შემდგომ ზომებს: 1. გარკვეული საკვები პროდუქტების (ხილი, ბოსტნეული) იმპორტის აკრძალვა; 2. რუსეთში არსებული თურქული ფირმების ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა; 3. რუსეთში თურქეთის მოქალაქეების დასაქმების აკრძალვა; 4. ჩარტერული ფრენების გაუქმება; 4. უსაფრთხოების მკაცრი კონტროლის შემოღება რუსეთის საზღვაო პორტებსა და წყლებში; 5. უვიზო მიმოსვლის შეჩერება; 6. ეკონომიკური პროგრამების გაუქმება; 6. შეზღუდვების შემოღება საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის გამოყენებაზე (Bilgic-Alpaslan et al., 2015).

საბჭოთა დაშლის შემდეგ თურქეთმა და რუსეთმა თავიანთი ურთიერთობები ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე ააგეს. მათ შორის იყო ტურიზმი, ვაჭრობა,

მშენებლობა, ენერგეტიკა, ინვესტიციები, სოფლის მეურნეობა. ხოლო შემდომში ერდორანსა და პუტინს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა კიდევ უფრო გაზარდა შემოსავლები ორივე ქვეყნისთვის.

სანქციებით, რომელიც დააწესა რუსეთმა, ყველაზე მეტად დაზარალდა ტურიზმის სექტორი. ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავების საქმეში. ტურიზმი თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი გამამდიდრებელი ელემენტია და წარმოადგენს საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთ საყრდენს. მას შემდეგ რაც თურქეთმა და რუსეთმა ახლო ურთიერთობები განავითარეს 21-ე საუკუნის დასაწყისში თურქეთი გახდა რუსი ვიზიტორების საყვარელი დანიშნულების ადგილი. 2010 წელს უვიზო მიმოსვლის გაუქმებამ გააძლიერა ტურისტული ნაკადები და შემოსავლები (Erdemir et al., 2021, p. 37).

ტურიზმის სექტორში შეზღუდვების დაწესებამ გამოიწვია 95%-ით შეამცირება რუსი დამსვენებლების რაოდენობისა თურქეთში. ანტალია იყო ერთ-ერთი მთავარი ბენეფიციარი, რომელიც დიდ სარგებელს ნახულობდა რუსი ტურისტების მომსახურებით. აქ არსებული ზოგიერთი სასტუმრო სპეციალურად რუსეთიდან ჩამოსულ დამსვენებლებს ემსახურებოდა. ბუნებრივია, რომ ქალაქ ანტალიაში პირდაპირი ფრენების აკრძალვამ დამღუპველი გავლენა იქონია. თუ თურქეთში რუსი ტურისტების ჯამური რაოდენობა 2014 წლისთვის თითქმის 4,5 მილიონს შეადგენდა, 2015 წელს კი მათი რიცხვი 3,7 მილიონამდე შემცირდა (Özel, Uçar, 2019, P.16).

ქვეყნებს შორის ორმხრივმა ვაჭრობა მნიშვნელოვნად დაეცა. 2014 წელს თუ ვაჭრობის მოცულობა 31,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2016 წლისთვის კი საგრძნობლად გაუარესდა ეს მაჩვენებელი და 16,9 მილიარდ დოლარამდე შემცირდა. თურქეთის ექსპორტი რუსეთში 61%-ით დაეცა 2016 წლის პირველ ნახევარში (Erdemir et al., 2021, p. 38).

რუსეთის ემბარგოს სიაში სოფლის მეურნეობის 21 პროდუქტი შევიდა. მათ შორის იყო პომიდორიც. 2015 წელს ანკარამ მოსკოვის ბაზარზე 259 მილიონი დოლარის პომიდორი გაიტანა, ეს რიცხვი 87 000 დოლარამდე შემცირდა 2016 წლის მონაცემებით. თურქეთი რუსეთისთვის პომიდვრის ყველაზე დიდი იმპორტიორი იყო, შეზღუდვების დაწესებამ

თურქეთის ეკონომიკის მაჩვენებლები გააუარესდა (Şahin, 2017). 2015 წელს 875 მილიონი აშშ დოლარის ღორებულების ბოსტნეული გაიყიდა რუსეთში, თუმცა რიცხვები 331 მილიონამდე დაეცა აკრძალვების დაწესების შემდეგ (Cetingulec, 2017).

2015 წლის ნოებრის ინციდენტის შემდგომ თურქული სამშენებლო კომპანიების საქმიანობაც მნიშვნელოვნად შეფერხდა და ეს აისახა მათ შემოსავლებზე. 1984 წლის შეთანხმების შემდეგ თურქულმა კომპანიებმა, განსაკუთრებით კი სამშენებლო ფირმებმა, აქტიური მუშაობა დაიწყეს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. 2017 წლისთვის მათ განახორციელეს დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ქვეყანაში. გარდა ამისა, რუსული კომპანიებიც აქტიურობდნენ თურქეთის ბაზარზე. პარტნიორულმა ურთიერთობებმა ორი ქვეყნის მრავალი ერთობლივი სამშენებლო პროექტის განახორციელებას შეუწყო ხელი. მათ ააშენეს ჰიდროელექტროსადგურები, კაშხლები, წყალქვეშა გვირაბები და სხვა. თურქულმა კომპანიემბა გააფორმეს ისეთი მნიშვნელოვანი კონტრაქტები, რომლებიც ეხებოდა აეროპორტების, გზების, ბიზნეს თუ სავაჭრო ცენტრების, საავადმყოფოების, საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობას (Özel, Uçar, 2019, P.12-14). ეკონომიკური კავშირების გაძლიერების პარალელურად უფრო მეტი თურქული კომპანია, ფირმა, ბიზნესი, ორგანიზაცია ინტერესდებოდა რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობითი ფორმატის შენარჩუნებით, განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის გამო. რუსულმა კომპანიებმაც გააფართოვეს თავიანთი გავლენები თურქეთში ბოლო ათწეულების განმავლობაში. თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ კი რუსეთმა დაწყებული სამუშაოები შეაჩერა და თურქულ ფირმებსა და მუშაკებს რეგულაციები დაუწესა (Erdemir et al., 2021, p. 39-40).

ენერგეტიკის სფერო, ერთი მხრივ, არის თურქეთ-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი საყრდენი, თუმცა, მეორე მხრივ, მთავარი მიზეზი რატომაც სახელმწიფოებს შორის არის ასიმეტრიული დამოკიდებულება. რუსეთმა მოახერხა და მოიპოვა მონოპოლია თურქეთის ენერგეტიკულ ბაზარზე. ამის ნათელი დასტურია თურქეთში პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც დაევალა სწორედ რუსულ კომპანიას Rosatom-ს. ქვეყანა დიდწილად ეყრდნობოდა რუსეთის გაზს. თუ თურქეთი რუსეთის ენერგეტიკულ რესურსებზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული (ჯერ კიდევ 2005 წელს რუსული გაზის წილი იმპორტში 66% იყო),

რუსეთს სანაცვლოდ თურქეთის უფრო ბაზრები სჭრიდებოდა. რუსეთის ბუნებრივი გაზის სიდიდით მეორე საექსპორტო ბაზარი სწორედაც რომ თურქეთი იყო. მიზეზი, რატომაც სანქციების, რომელიც SU-24-ის ჩამოგდების შემდეგ დააწესა მოსკოვმა, ჩამონათვალში არ შედიოდა ენერგეტიკის ექსპორტი იყო მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება. (Özel, Uçar, 2019, P.17-19). გაზპრომმა თურქეთის გაზის კერძო კომპანიების მაღალი ფასები და ექსორტის შემცირებული მოცულობა დაუწესა. SU-24 ინციდენტი გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა თურქეთისთვის, რადგანაც მან დაიწყო ზრუნვა გაზის მიწოდების დივერსიფიკაციაზე (Erdemir et al., 2021, p. 42).

თავი V. წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალება თურქეთში და დასავლეთის რეაქცია

„თვითმფრინავის კრიზისის“ შემდგომ ანკარა მალევე კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. 2016 წლის 15 ივლისი - თურქეთის სახელმწიფოს ისტორიაში შევიდა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის წარუმატებელი მცდელობა, რომელიც მიმართული იყო რეჯეფ თაიფ ერდოღანის მთავრობის წინააღმდეგ.

პარასკევს, გვიან საღამოს სამხედროებმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით გადაკეტეს ხიდები ბოსფორის სრუტეზე. ანკარის თავზე კი მოიერიშე თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ისმოდა აფეთქებების ხმები, ჯარისკაცებმა დაარბიეს ტელევიზიები, მომიტინგეებმა განახორციელეს სროლა პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობებზე. ქვეყანაში გამოცხადდა საომარი მდგომაარეობა და დაწესდა კომენდანტის საათი. 16 ივლისს კი პრემიერ-მინისტრამა ბილანი ილდირიმმა მედიასთან განაცხადა, რომ სიტუაცია უკვე მთლიანად ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იყო. უსაფრთხოების ძალებმა დაიბრუნეს საკვანძო ბაზები და მათ შორის სამხედრო შტაბიც (BBC, 2016). 2016 წლის მთავრობის დამხობის მცდელობას, მაშინ, როცა ჯარისკაცებმა საბრძოლო ვერტმფრენები, თვითმფრინავები, ტანკები გაიტაცეს და ცდილობდნენ ძირითადი ინსტიტუტების გაკონტროლებას, 250-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ქვეყანაში ჩატარდა პოლიციურ-სადამსჯელო წმენდა. თურქეთის სასამართლომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობისთვის 92 ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მათ შორის იყვნენ ყოფილი მაღალჩინოსნებიც. გარდა ამისა, დაახლოებით 150 000-მდე საჯარო მოხელე გაანთავისუფლეს სამსახურიდან, ხოლო 20 833 სამხედრო მოხსნეს თანამდებობიდან (Reuters, 2020).

თურქეთის მთავრობამ გადატრიალების მცდელობის მოწყობაში ფეთჰულა გიულენი დაადანაშაულა. იგი გახლდათ ცნობილი თურქი მეცნიერ-განმანათლებელი, რომელიც 1999 წლიდან აშშ-ში, პენსილვანიის შტატში ცხოვრობდა. თურქეთმა მოთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს გიულენის დაკავება და გადაცემა თურქეთის სამართალდამცავი

ორიგანოებისთვის, თუმცა აშშ-ს მთავრობამ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა (Ibrahim, 2022). ერდოღანმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ქვეყნის ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან, როცა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ წარუმატებელი გადატრიალება მართალია თურქეთში მოხდა, თუმცა „სცენარი“ ამ გადატრიალებისა საზღავრგარეთ დაიწერა (The Telegraph, 2016). 2016 წლისთვის ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა იყო. მან, მიუხედავად იმისა, რომ კარგად აცნობიერებდა რამდენად მნიშვნელოვან წევრს წარმოადგენდა თურქეთი ნატოსთვის უსაფრთხოების საკითხებში (მაგ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში), თურქეთის ლიდერს უარი განუცხადა ფეთჰულა გიულენის ექსტრადიციაზე საკმარისი საბრალდებო მტკიცებულებებების არარსებობის გამო.

2008 წლის არჩევნებში გამარჯვებიდან მოყოლებული ბარაკ ობამა ერდორანთან სტაბილური და მეგობრული ურთიერთობების განვითარებას ცდილობდა, რადგანაც იცოდა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თურქეთთან პარტნიორობა ახლო აღმოსავლეთში სტაბილური სიტუაციის შენარჩუნების საქმეში. განსაკუთრებით კარგად ესმოდა რამდენად საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა თურქეთის, როგორც აღმოსავლეთის კარიბჭის ფუნქციის შესრულება ნატოს ალიანსის წევრების საერთო უსაფრთხოების საქმეში. თავად მრავლისთქმელია ის ფაქტიც, რომ ამერიკის პრეზიდენტმა 2011 წელს Time-ის ინტერვიუში დაასახელა ხუთი მსოფლიო ლიდერი, რომელთანაც მჭირდრო კავშირები ჰქონდა. ამ ჩამონათვალში იმდროინდელ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონთან ერთად მოხვდა რეჯეფ თაიფ ერდოღანიც. თუმცა შემდგომ თურქეთის პრეზიდენტმა ავტორიტარიზმისაკენ მიმავალი ნაბიჯები გადადგმა დაიწყო, ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მან შექმნა ძალაუფლების კულტი თავის გარშემო, ჩამოიშორა პოლიტიკური ოპონენტები და მოწინააღმდეგეები ქვეყნის შიგნით, რაც განსაკუთრებით არასასურველი აღმოჩნდა ამერიკელი პარტნიორისთვის. ანკარამ მისი იმედგაცრუება მხოლოდ საშინაო საკითხებში როდი გამოიწვია. ობამას ფრხილი სტარტეგია სირიაში ეწინააღმდეგებოდა ერდოღანის მოუთმენლობასა და პირდაპირ მოქმედებას ბაშარ ასადის გადაყენებისა და მოქმედი მთავრობის დამხობის მიზნით. ორ ქვეყნას შორის უნდობლობა გაღრმავდა (Crowley, 2016). თურქეთმა ამერიკის ადმინისტრაციას დასდო

გარკვეული ბრალი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის საქმეში და მოითხოვა პენსილვანიის შტატში მცხოვრები ფეთჰულა გიულენის დაპატიმრება ან ექსტრადირება, რასაც ამერიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებდა თუ დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებებს წარადგენდა თურქეთი.

თეთრი სახლის სპიკერმა ჯოშ ერნესტმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ბრალდება გიულენთან დაკავშირებით იყო არასწორი და შეერთებული შტატები თურქ მეცნიერ-განმანათლებელს ხელს არ აფარებდა. სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოადგილემ მარკ ტონერმა კი არსებულთან დაკავშირებით თქვა, რომ ფეთჰულა გიულენის საქმეზე ვაშინგტონი მხოლოდ და მხოლოდ კანონისა და მტკიცებულებების ფარგლებში ითანამშრომლებდა ანკარასთან. მან ასევე კიდევ ერთხელ გააფრთხილა თურქეთი დეკოკრატიის პრინციპების დარღვევაზე და იმაზე, რომ მთავრობა რეპრესიებით გადაჭარბებულად მოქმედებდა მოსახლეობაზე და შეშფოთების საგანს წარმოადგენდა საერთაშორისო აქტორებისთვის (Cavas, Johnsrud, 2016).

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ 17 ივლისს მოუწოდა ანკარას, რომ ოპონენტების დაპატიმრების ხელსაყრელ მიზეზად ნუ გამოიყენებდა სახელწიფო გადატრიელების მცდელობას (Cavas, Johnsrud, 2016). სახელმწიფო მდივანმა დაგმო ტყუილი ბრალდება იმის შესახებ, რომ ვაშინგტონი რაიმე ფორმით მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში თურქეთში. მან სატელეფონო საუბრით თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მევლუთ ჩავუშოღლუს განუცხადა, რომ სრულიად მცდარი პრეტენზიების წამოყენება შტატების მიმართ საზიანოა ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის (Jones, 2016). ჯონ კერიმ ჩავუშოღლუ გააფრთილა იმის თაობაზე, რომ ნატო „გაზომავდა“ თურქეთის ქმედებებს, უახლოეს დღეებში შეამოწმებდა თუ როგორ ასრულებდა იგი ალიანსის წევრობის მოთხოვნებს და რამდენად იცავდა დემოკრატიას საკუთარი სახელმიფოს საზღვრებს შიგნით მომასხლეობასთან მიმართებაში (Morello, 2016). აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მსგავსი განცხადება გააკეთა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა თურქეთში, ჯონ ბასმა. მანაც უარყო ამერიკის რაიმე სახის წვლილი გატადრიალების მოწყობაში და განაცხადა, რომ ეს სპეკულაციები სინამდვილეს სრულიად არ შეესაბამებოდა. ამგვარი უნდობლობა კი „საზიანოა ორ დიდ ერს შორის ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული მეგობრობისთვის“ (Smith, 2016).

პოლიტიკური რეპრესიები, დასჯა, ათასობით ადამიანის დაპატიმრებები, პოლიტიკური ოპონენტების განდევნა ქვეყნიდან, ჟურნალისტების დაშინება - ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ამერიკამ გააკრიტიკა დემოკრატიის დონე თურქეთში. როგორც ხედავთ ნატოს ორ წევრ ქვეყანას საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები ჰქონდათ 2016 წლის წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების შემდგეგ, რამაც მნიშვნელოვნად იქონია გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკის შემდგომ პროექტირებაზე.

პრეზიდენტ ერდოღანის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ იგი გააუცხოა ასევე ევროკავშირისგანაც და დატოვა რეგიონულ იზოლაციაში. თურქეთში დემოკრატიის დაცემამ ინტერესთა შეჯახება გამოიწვია ევროსტრუქტურების წარმომადგენლებთან. გადატრიალების მცდელობის შემდგომ მიღებული სადამსჯელო ზომები კანონის უზენაესობას არ შეესაბამედობა და ევრკავშირმა მოუწოდა ქყევანას, რომ დაეცვა შესაბამისი სტანდარტები და ადამიანის უფელებების უზენაოსება საერთაშორისო ვალდებულებებისა და კანდიდატის სტატუსის სტანდარტების გათვალისწინებით. ევროპის გადმოსახედიდან თურქეთის საკანონმდებლო სისტემას გარკვეული ხარვეზები ჰქონდა და ასევე კორუფციაც რჩებოდა მნიშვნელოვან პრობლემად. გარდა ამისა, სიტყვის თავისუფალი გამოხატვის ზედმეტი შეზღუდვებიც იწვევდა კრიტიკას დასავლეთის ქვეყნების მხრიდან (European Commission, 2016).

2016 წლის 18 ივლისს ევროკავშირის საბჭომ თურქეთის მთავრობის მიერ გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ასახული იყო მისი დამოკიდებულება შექმნილ რეალობაზე. აღნიშნულ განცხადებაში ევროკავშირი სოლიდარობას უცხადებდა თურქ ხალხს და გმობდა დაღუპულთა მრავალრიცხვიანობას. მოუწოდებდა ხელისუფლებას, ქვეყნის უსაფრთხოების ძალებს, პოლიციას ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისგან თავი შეეკავებინათ და ამ გზის მეშვეობით სიმშვიდის შენარჩუნებაზე უარი ეთქვათ. განცხადებაში ხაზგასმული იყო კანონის უზენაესობის აღსრულების აუცილებლობა, სამართლიანი სასამართლოს არსებობა და კონსტიტუციური ჩარჩოს შესაბამისი წესრიგის დაცვა (Council of the European Union, 2016).

ევროკავშირის კრიტიკის საგანი გახდა ასევე ერდოღანის სიტყვით გამოსვლა სტამბოლში გამართულ მიტინგზე, სადაც მან შეკრებილ მოსახლეობას განუცხადა, რომ ის დაუშვებდა სიკვდილით დასჯის დაბრუნებას, თუ ხალხი ამის ნებას მისცემდა და ამ დოკუმენტს დაამტკიცებდა პარლამენტი. ეს მიტინგი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას შემდგომ გაიმართა და შეკრებილი იყო მინიმუმ ერთი მილიონი ადამიანი. პრეზიდენტმა გამოხატა დიდი იმედი, რომ პოლიტიკური პარტიები და რაც მთავარია ხალხი მხარს დაუჭერდა და დაამტკიცებდა გადაწყვეტილებას სიკვდილის დასჯის კანონპროექტის მიღებაზე (BBC, 2016).

Bild am Sonntag-დან, ყველაზე გაყიდვად გერმანულენოვან საკვირაო გაზეთიდან, რომელიც გამოდიოდა ბერლინში, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან კლოდ იუნკერმა თურქეთს მოუწოდა, რომ დაუახლოვდეს ევროპას და არა პირიქით დაშორდეს მას. მისი თქმით, ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური თურქეთი ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის, რომელიც არის ღირებულებათა ერთობლიობის კავშირი (The Associated Press, 2017). ფრედერიკა მოგერინი, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა საკითხებში, 18 ივლისს გამოეხმაურა ერდოღანის ინიციატივას - სიკვდილით დასჯა დაებრუნებინათ ქვეყანაში. მისი თქმით, თურქეთი, რაკი არის ევროსაბჭოს მნიშვნელოვანი წევრი, ვალდებულია, პატივი სცეს ადამიანის უფლებებს და დასძენს, რომ „ვერცერთი ქვეყანა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა, თუ მას სიკვდილით დასჯა შემოაქვს“ (Reuters, 2016).

2016 წლის 24 ნოემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ეხებოდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების გაყინვას. მოლაპარაკებების პროცესი იქამდე იქნებოდა შეჩერებული, სანამ თურქეთის მთავრობა ძალადობრივი და რეპრესირებული ქმედებების გატარებას არ დაასრულებდა ივლისის წარუმატებელი გადატრიალების მონაწილეთა წინააღმდეგ. რეზოლუციას მხარი დაუჭირდა 479 ხმამ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი არ იყო საკანონმდებლო დადგენილება და იურიდიულად სავალდებულო. ვინაიდან ამგავრი მექანიზმების ამოქმედების ფორმალური კომპენტენცია პარლამენტს არ ჰქონდა (European Parliament, 2016).

თავი VI. საკითხის ანალიზი ნეორეალიზმის თეორიულ ჭრილში

ვინაიდან და რადგანაც, ნეორეალიზმის თეორია საერთაშორისო სტრუქტურის თავისებურებებს ეყრდნობა, ბუნებრივია, რომ სახელმწიფოთა ქმედების განმსაზღვრელი თავად სისტემაა. რაკი იგი თავისი არსით უფრო ანარქიულია, ვიდრე იერარქიული, მოქმედ სუბიექტებს, რჩებიან რა უმაღლესი მთავრობის გარეშე, უწევთ, რომ თავად იზრუნონ საკუთარ თავზე. ისინი საერთაშორისო სისტემის სამოქმედო რეალობაში განსაზღვრავენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებსა და მიზნებს (რონდელი, 2006, გვ. 96).

დასავლეთთან არსებული ურთიერთობების დინამიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამაც უბიძგა თურქეთის რესპუბლიკას, რომ თანამშრომლობითი ურთიერთობებ აღდგენა რუსეთის ფედერაციასთან ინტერესთა კონფლიქტის ფონზე. 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდეგ დასავლეთისგან მიღებულმა კრიტიკამ საბოლოოდ ანკარა მოსკოვთან თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენისკენ მიიყვანა, ხოლო დასავლეთისგან უფრო მეტი დისტანცირება გამოიწვია.

თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება იწყება 2016 წლის 26 ივნისით, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ერდოღანმა წერილის მეშვეობით ოფიციალური ბოდიში მოიხადა რუსული სამხედრო ტიპის თვითმფრინავის ჩამოგდების გამო და თანაგრძნობა და ღრმა მწუხარება გამოხატა დაღუპული პილოტის ოჯახის მიმართ. კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ხაზი გაუსვა წერილში ნათქვამ მნიშვნელოვან ფრაზას, რომ თურქული მხარე რუსეთს აღიქვამდა, როგორც მეგობარსა და მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს, რომელთანაც ურთიერთობების გაფუჭება ნამდვილად არ სურდა (BBC, 2016). შეიძლება ითქვას, რომ ამით მოსკოვმაც გამოავლინა მზადყოფნა ანკარასთან თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით.

ორ ქვეყანას შორის მოვლენების განვითარებამ აშკარა დადებითი სცენარი მიიღო და 2016 წლის 9 აგვისტოს ლიდერები უკვე პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს სანქტ-პეტერბურგში. ერდოღანმა და პუტინმა ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის პირობა დადეს. შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა გააჟღერა დაწესებული სანქციების

ეტაპობრივი მოხსნის დაწყება. მხარეებმა ნათლად დაადასტურეს, რომ სურდათ კრიზისამდე არსებული თანამშრომლობის დაბრუნება და უთანხმოების დაძლევა პრიორიტეტი იყო. პრეზიდენტმა ერდოღანმა შეხვედრის დროს ასევე მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ პუტინს იმ სატელეფონო ზარისთვის, რომელიც მან განახორციელა თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის საპასუხოდ. პუტინი იყო ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ლიდერთა შორის, ვინც დაურეკა ერდოღანს და მასსა და მის მთავრობას დიპლომატიური მხარდაჭერა გამოუცხადა (BBC, 2016). ეს შეხვედრა თავისი არსით ნამდვილად, რომ ისტორიული იყო. ვინაიდან რუსეთი და თურქეთი კვლავ მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნდნენ და გაჩნდა შესაძლებლობა მოსკოვი-ანკარის მეგობრობისა და პარტნიორობის ღერძის კვლავ აღდგენისა. ანკარამ პირობა დადო, რომ რვათვიანი განხეთქილების შემდეგ მოსკოვთან ორმხრივ კავშირებს ძალიან მალე გააუმჯობესებდა.

საგულისხმოა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოღლუს 2016 წლის 25 ივლისს გაკეთებული განცხადების ერთ-ერთი მონაკვეთი, რომელშიც იგი განსაკუთრებულად გამოკვეთს რუსეთის მხარდაჭერას და ამბობს შემდეგს: „მადლობას ვუხდით რუსეთის ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ პუტინს. ჩვენ მივიღეთ უპირობო მხარდაჭერა რუსეთისგან, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით“ (Hürriyet Daily News, 2016). თურქეთის მმართველ ელიტაში გაჟღერებული ეს ფრაზა ერთგვარი გამოხატულებაა 2016 წლის გადამწყვეტი მოვლენებისა, კერძოდ, კი დასავლეთისგან მიღებული დაუფარავი კრიტიკსა და სკეპტიციზმის. ნათელია, რომ 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდგომ პუტინის სატელეფონო ზარმა რუსეთის, როგორც სანდო მეზობლის იმიჯის როლი გააძლიერა თურქეთის ხელისუფლებისთვის.

2015 წლის შემდგომ თურქეთის გარშემო არსებული საერთაშორისო სისტემა არსებითად შეიცვალა. ერთი მხრივ, „თვითმფრინავის კრიზისმა“ ურთიერთობები დაუძაბა რუსეთთან, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის საპასუხოდ გატარებულმა სადამსჯელო ქმედებებმა იგი გააუცხოა აშშ-სგან და ევროპული სტრუქტურებისგან. ანკარა ერთგვარ პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა, თუმცა სირთულის ჟამს მეგობრული ხელი ისევ და ისევ ისტორიულმა მტერმა, რუსეთმა,

გამოუწოდა და ერდორანს პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ქვეყნის შიგნით არსებული სახელმწიფო გადატრიალების ჩახშობის შემდგომ.

კრიტიკამ და წინააღმდეგობამ, რასაც თურქეთი ღებულობდა ევროკავშირისგან და აშშ-სგან, ნათლად დაანახა ერდოღანს თუ რამდენად განსხვავდებოდა დასავლური და ნეოოსმანური ღირებულებათა სისტემა ერთმანეთისგან, რაც თანამშრომლობას აფერხებდა და ქმნიდა პოლიტიკური კრიზისის საფუძველს.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ მკვეთრად აღმოსავლურიი იდენტობა გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა ნატოს ძალიან ბევრ სამშვიდობო ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა, ალიანსსა და მის წევრ შორის თანამშრომლობის ფრომატი მაინც არასდროს ყოფილა სრულყოფილი. მაგალითისთვის, ნატოს ფარგლებში იგი აშშ-ს ისტორიულ მტერს, ირანს, ბირთვული პროგრამის გატარებაში უჭერდა მხარს, აფერხებდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ისრაელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაფართოებას, ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში სამშვიდობო მისიების გატარებას და სხვა. ევროკავშირთან დაკავშირებით არსებობდა რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომელთა გადაუჭრელობა აფერხებდა თურქეთის გაწევრიანებას ევროპულ კლუბში. როგორიცაა: კვიპროსის საკითხის გადაწყვეტა და მისი ევროკავშირის ოფიციალურ წევრად ცნობა, 1915 წლის სომხთა გენოციდის აღიარება, ქურთების პრობლემის გადაჭრა, დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვა, საგარეო პოლიტიკურ კურსში მილიტარიზაციის როლის შემცირება და სხვა. საერთაშორისო სისტემის დონეზე, აშკარაა, რომ ცივილიზებულ დასავლეთთან ურთიერთობა თურქეთისთვის ყოველთვის გამოირჩეობა პრობლემურობითა და არაჰარმონიულობით.

ნეორეალიზმის კონცეფციის მიხედვით, თვალნათელია, რომ თურქეთის და ზოგადად ქვეყნის დიპლომატიის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ის საერთაშორისო გარემო, რომელშიც სახელმწიფო თანაარსებობს სხვა აქტორებთან ერთად. ეს არის ერთგვარი ინფორმაციის შეგროვება, მიღებულის გააზრება და უკვე შემდგომ საგარეო პოლიტიკის განხორციელების ალტერნატიული გზების ძიების პროცესი (Bull, 2002, p. 158). მნიშვნელოვანია, რომ მიზანმა საბოლოო ჯამში გაამართლოს საგარეო პოლიტიკის ხაზი

და უზრუნველყოს მომგებიანი პოზიციის მოპოვება ქვეყნისთვის. საერთაშორისო სისტემის სუბიექტის საგარეო პოლიტიკა განსაზღვრულია ეროვნული ინტერესებით. თავის მხრივ გარემო უმთავრეს როლს თამაშობს ამ ინტერესების ჩამოყალიბებაში, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკურ მოქმედებას. შესაბამისად, ინტერესები არ ექვემდებარება უცვლელობის პრინციპს და შეიძლება რომ ვითარებისდა შესაბამისად განსხვავებული ტრაექტორია მიიღოს.

2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მონაწილედ მიჩნეულთა წინააღმდეგ მიმართულმა დევნამ, დაპატიმრებების სერიამ, სადამსჯელო ოპერაციებმა, სამსახურიდან გათავისუფლებამ, ადამიანის უფლებათა დარღვევამ, კანონის უგულებელყოფამ, სიკვდილით დასჯის კანონპროექტის იდეის შემოღებამ, ოპონენტების დარბევამ, გიულენის დაპატიმრების მოთხოვნამ და სხვა ამგვარმა გადახვევებმა ლიბერალური სახელმწიოფოს რელსებიდან ცხადჰყო, რომ თურქეთი და დასავლეთი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკას ირჩევდა. სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომ თურქეთისთვის ერთგვარი გადაფასებისა და პრიორიტეტების გადალაგების მომენტი დაადგა. იგი ეჭვის ქვეშ აყენებდა თანამშრომლობის გაღრმავებას განსხვავებული აზრისა და ღირებულებების მქოდე ევროკავშირთან და აშშ-სთან.

ახალ გეოპოლიტიკური რეალობით ანკარამ შეცვალა საგარეო პოლიტიკის სტარტეგია. თურქეთმა გააცნობიერა, რომ რუსეთთან კვლავინდებური „გულითადი“ ურთიერთობების განვითარება დაეხმარებოდა დასავლეთთან არსებული პოლიტიკური კრიზისიგან თავის დასაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის თანამშრომლობას მყარი ისტორიული ბაზა არ ჰქონდა, რათა განვითარებულიყო ჰარმონიულად, მაინც თურქეთს რუსეთთან ურთიერთობა უფრო აწყობდა და უფრო მეტს იგებდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული თუ სხვა თვალსაზრისით, ვიდრე დასავლეთის ჩარჩოებში მოქცევა და მათგან მაინც მუდმივად ნეგატიური დამოკიდებულების მიღება. მოსკოვთან სირიის კრიზისში თანამშრომლობით, S-400 სარაკეტო სისტემის შეძენით, Akkuyu-ს ატომური ელექტრო სადგურის მშენებლობით თურქეთმა დასავლეთს დაანახა, რომ იგი თანამშრომლობს ნატოს მეტოქესთან, ამით კი ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობს და რაც

მთავარია, დასავლეთი არ სჭიდება იმისთვის, რომ იყოს ძლიერი აქტორი, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებს.

ნეორეალიზმის თეორიულ ჭრილში კარგად გამოჩნდა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზები, რაც ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენდა. საკლევი კითხვის - რა ფაქტორებმა განაპირობა თურქეთის რესპუბლიკის მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენა რუსეთის ფედერაციასთან ინტერესთა კონფლიქტის ფონზე 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის ინციდენტის“ შემდეგ? - პასუხი საერთაშორისო სისტემის დონიდან გამომდინარეობს. 2015 წლის შემდგომ წლებში განსაკუთრებულად გამოიკვეთა ის სადავო საკითხები, რაზეც თურქეთს არ ჰქონდა ევროკავშირისა და აშშ-ს მსგავსი მოსაზრება და ასევე გამოიკვეთა ახალი შესაძლებლობები მოსკოვთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენისა. შედეგად, დამოუკიდებელმა ცვლადმა, დასავლეთთან არსებული პოლიტიკური კრიზისისგან დისტანცირების სურვილმა, თურქეთს რუსეთთან თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენისკენ უბიძგა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა განესაზღვა თუ რა ფაქტორებმა გახადა შესაძლებელი თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირების განტვირთვა და ორი ქვეყნის კვლავ მჭიდრო თანამშრომლობით ფორმატში დაბრუნება 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის კრიზისის“ ინციდენტის შემდგომ. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომი ცდილობდა აეხსნა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ის პროცესები, რამაც უბიძგა ანკარას თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენისკენ რუსეთთან, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების მკვეთრი დაპირისპირებისა.

ნაშრომში დასმულ მთავარ საკვლევ კითხვაზე - რა ფაქტორებმა განაპირობა თურქეთის რესპუბლიკის მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენა რუსეთის ფედერაციასთან ინტერესთა კონფლიქტის ფონზე 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის ინციდენტის“ შემდეგ? - პასუხი ჩამოყალიბდა ჰიპოთეზის სახით შემდეგნაირად: თურქეთმა, დასავლეთთან შექმნილი პოლიტიკური კრიზისისგან დისტანცირების მიზნით, გადაწყვიტა კვლავ აღედგინა თანამშრომლობითი ურთიერთობები რუსეთთან, მიუხედავად 2015 წლის 24 ნოემბრის „თვითმფრინავის ინციდენტით“ გამწვავებული კონფლიქტისა. ჰიპოთეზაში არსებულ ცვლადებს შორის კავშირი, ანუ ის თუ დამოუკიდებელი ცვლადი - დასავლეთთან არსებული პოლიტიკური კრიზისისგან დისტანცირების სურვილი - როგორც ახდენდა გავლენას დამოკიდებულ ცვლადზე - თურქეთის მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობების აღდგენაზე რუსეთთან ინტერესთა კონფლიქტის ფონზე - დადასტურდა თეორიული ანალიზის საფუძველზე. გამოყენებული იყო ნეორეალიზმის თეორიული კონცეფცია და მოვლენები აიხსნა სისტემური დონიდან გამომდინარე.

ნაშრომში განხილული იყო „თვითმფრინავის კრიზისის“ გამოწვევი ისტორიული წინაპირობები, კრიზისის შემდგომი განვითარება და რუსული სანქციების შედეგი თურქეთის ეკონომიკაზე. ამის შემდგომ კი უკვე წარმოდგენილი იყო 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დასასრულს განვითარებული მოვლენები და დასავლეთის მხარის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებები და

გამოხმაურებები თურქეთის სადამსჯელო ქმედებებთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი განსაზღვრული იყო, როგორც თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მოცემული ნაშრომისთვის მოვლენების სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზისთვის შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევის დიზაინად წარმოდგენილი იყო ე.წ. „ქეისს სდათი“ ანუ „შემთხვევის შესწავლა“. თურქეთის საგარეო პოლიტიკის კვლევისთვის შესწავლილი იყო დარგის ექსპერტების ნაშორმები, აკადემიური სტატიები, პუბლიკაციები, ქვეყნების წარმომადგენელი ოფიციალური პირების განცხადებები. ფაქტობრივი მასალის შესაგროვებლად გამოყენებული იყო ნიუს გამოცემები და ინტერნეტ წყაროები.

კვლევის ფარგლებში მიმოხილული იყო ლიტერატურა. ის სტატიები, პუბლიკაციები თუ ნაშრომები, რაც უკვე არსებობდა აკადემიურ სივრცეში მოცემულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და რასაც პირდაპირი თუ ირიბი კავშირში ჰქონდა ნაშრომის საკვლევ კითხვასთან. გამოიკვეთა განსხვავებული მიდგომები იმასთან დაკავშირებით თუ კონკრეტული ავტორები რა მიზეზებიით ხსნიდნენ თურქეთის რუსეთთან დაახლოების ნაბიჯს.

ნაშრომში განხილული იყო ის საერთაშრისო კრიტიკა თუ გამოწვევები რაც თურქეთის წინაშე არსებობდა 2015-2016 წლების პერიოდში. ნეორეალიზმის ჭრილში ანალიზისას კი ნათელი გახდა, რომ 2015 წლის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე რუსეთთან მიმართებაში დიდი გავლენა იქონია სისტემაში შექმნილმა ვითარებამ და შესაძლო სვლიდან ყველაზე მომგებიანის არჩევამ. ანკარამ საკუთარი ეროვნული ინტერესების გასატარებლად, რაც კრიზისული სიტუაციიდან თავისდაღწევას გულისხმობდა, კვლავ მოსკოვთან დაახლოება არჩია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akyol, M. (2012, June 28). *Is Turkey moving toward 'hard power' over Syria?* CNN. Retrieved from: https://edition.cnn.com/2012/06/27/opinion/akyol-turkey-syria/index.html (last seen: 06/06/2023)
2. Al Jazeera. (2015, December 2). *Implications of Downed Russian Jet on Turkey-Russia Relations.* Retrieved from: https://studies.aljazeera.net/en/positionpapers/2015/12/201512211923765212.html (Last seen: 18/06/2023)
3. Almuedo., A. (15 September, 2011). *New Turkish Foreign Policy towards the Middle East: Neither so New, Nor so Turkish*. The European Institute of the Mediterranean (IEMed). Retrieved from: https://www.iemed.org/publication/new-turkish-foreign-policy-towards-the-middle-east-neither-so-new-nor-so-turkish/ (last seen: 04/06/2023)
4. BBC NEWS. (2016, 9 August). *Putin mends broken relations with Turkey's Erdogan*. Retrieved from: https://www.bbc.com/news/world-europe-37018562 (Last seen: 09/06/2023)
5. BBC NEWS. (2015, October 1). *Russia joins war in Syria: Five key points.* Retrieved from: https://www.bbc.com/news/world-middle-east-34416519 (last seen: 06/06/2023)
6. BBC NEWS. (2016, August8). *Turkey coup: Erdogan backs return of death penalty at vast Istanbul rally.* Retrieved from: https://www.bbc.com/news/world-europe-37003819 (last seen: 13/06/2023)
7. BBC NEWS. (2016, 27 June). *Turkey 'sorry for downing Russian jet'.* Retrieved from: https://www.bbc.com/news/world-europe-36643435 (Last seen: 09/06/2023)
8. BBC NEWS. (2016, 7 July). *Turkey's coup attempt: What you need to know.* Retrieved from: https://www.bbc.com/news/world-europe-36816045 (last seen: 06/06/2023)
9. Bilgic-Alpaslan, I., Markovic, B., Tabak, P., et al. (2015, December 7). *Economic implications of Russia's sanctions against Turkey.* European Bank. Retrieved from: https://www.ebrd.com/news/2015/economic-implications-of-russias-sanctions-against-turkey.html (Last seen: 17/06/2023)
10. Bull, H. (2002). *The Anarchical Society. A Study of Order in World Politics.* Published by PALGRAVE. Third Edition.

11. Carley, P. (1995, January 1). *Turkey's Role in the Middle East.* Peaceworks No. 1. United States Institute of Peace. Washington. Retrieved from: https://www.usip.org/publications/1995/01/turkeys-role-middle-east
12. Cavas, M., Johnsrud, H. (2016, August 8). U.S. Statements on Turkey's Attempted Coup: A Timeline. POMED. Retrieved from: https://pomed.org/publication/u-s-statements-on-turkeys-attempted-coup-a-timeline/ (last seen: 18/06/2023)
13. Cetingulec, M. (2017). Tomato ban reveals lingering problems between Russia, Turkey. Al-Monitor. Retrieved from: https://www.al-monitor.com/originals/2017/05/turkey-russia-tomato-crisis.html (Last seen: 17/06/2023)
14. Cohen, L., Manion, L., Morrison, K. (2007). *Research Methods in Education.* Sixth edition. Published by Routledge. USA.
15. Council of the European Union. (2016, July 18). *Council conclusions on Turkey.* Retrieved from: https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2016/07/18/fac-turkey-conclusions/ (last seen: 13/06/2023)
16. Crowley, M. (2016, July 17). *Did Obama get Erdogan wrong?* POLITICO. Retrieved from:https://www.politico.eu/article/did-barack-obama-get-recep-tayyip-erdogan-wrong-turkey-coup/ (last seen: 06/06/2023)
17. Donnelly, J. (2005). *Realism: Waltz and structural realism.* In Burchill, S., Linklater, A., Devetak, R. et al. (Eds). *Theories of International Relations.* Third edition. Published by PALGRAVE MACMILLAN.
18. Erdemir, A., Ciddi, S., Hardie, J. (2021, December). *Collusion or Collision? Turkey-Russia Relations Under Erdogan and Putin.* FDD PRESS. FOUNDATION FOR DEFENSE OF DEMOCRACIES. Washington, DC.
19. European Commission. (2016, November 9). *Key findings of the 2016 Report on Turkey.* Brussels. Retrieved from: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/MEMO_16_3639 (last seen: 06/06/2023)
20. European Parliament. (2016, 24 November*). Freeze EU accession talks with Turkey until it halts repression, urge MEPs.* Retrieved from: https://www.europarl.europa.eu/news/en/press-

room/20161117IPR51549/freeze-eu-accession-talks-with-turkey-until-it-halts-repression-urge-meps?quizBaseUrl=https%3A%2F%2Fquizweb.europarl.europa.eu (last seen: 13/06/2023)

21. Franco, J., Lee, C., Vue, K. et al. (2020). *Introduction to Political Science Research Methods.* First Edition. Published by Academic Senate for California Community Colleges.
22. Gibbons-Neff, T. (2015, November 24). *This is the Russian plane that Turkey just shot down.* The washington post. Retrieved from: https://www.washingtonpost.com/news/checkpoint/wp/2015/11/24/this-is-the-russian-plane-that-turkey-just-shot-down/(last seen: 09/04/2023)
23. Goff-Taylor, M. (2017, September). *Why Turkey Needs Russia.* Middle East Program, Wilson Center. Viewpoints No. 113. Retrieved from: https://www.wilsoncenter.org/publication/why-turkey-needs-russia
24. Grigoriadis, I., N. (2010). *The Davutoğlu Doctrine and Turkish Foreign Policy*. Bilkent University / HELLENIC FOUNDATION FOR EUROPEAN AND FOREIGN POLICY (ELIAMEP). Working Paper No 8. Retrieved from: https://www.eliamep.gr/wp-content/uploads/2010/05/KEIMENO-ΕΡΓΑΣΙΑΣ-8_2010_IoGrigoriadis1.pdf
25. Haran, V. (2016, March). *Roots of the Syrian Crisis.* Special Report #181. IPCS | Institute Of Peace and Conflict Studies. Retrieved from: http://www.ipcs.org/issue_briefs/issue_brief_pdf/RootsoftheSyrianCrisis_VPHaran.pdf
26. Hoogendoorn, J. (2016, July 20). *Erdogan's diplomatic openings: An international power play.* GLOBAL RISK INSIGHTS. Retrieved from: https://globalriskinsights.com/2016/07/erdogan-diplomatic-openings-turkey/ (Last seen: 20/05/2023)
27. Hürriyet Daily News. (2016, July 26). *Turkey thanks Putin for unconditional support over coup attempt.* Retrieved from: https://www.hurriyetdailynews.com/turkey-thanks-putin-for-unconditional-support-over-coup-attempt---102062 (Last seen: 09/06/2023)
28. Ibrahim, A. (2022, July 15). *What was Turkey's failed coup about – and what's happened since?* Al Jazeera. Retrieved from: https://www.aljazeera.com/news/2022/7/15/turkeys-failed-coup-attempt-explainer (last seen: 06/06/2023)
29. Jenkins, L. (2015, November 28). Vladimir Putin announces Russian sanctions against Turkey. The Guardian. Retrieved from: https://www.theguardian.com/world/2015/nov/28/vladimir-putin-calls-for-greater-sanctions-against-turkey (Last seen: 18/06/2023)

30. Jones, D. (2016, July 17). *Kerry Rejects Hints of US Role in Turkish Coup.* EUROPA. Retrieved from: https://www.voanews.com/a/turkey-president-vows-to-rid-country-of-virus-responsible-for-failed-coup/3421973.html (last seen: 18/06/2023)
31. Khan, H., U., & Khan, W. (2017, Dec. 31). *History, The Civil War and Peace Prospects.* Journal of Political Studies, (Issue XXXII). Vol. 24, Issue - 2. Publisher: Knowledge Bylanes. Retrieved from: https://go.gale.com/ps/i.do?id=GALE%7CA580358767&sid=googleScholar&v=2.1&it=r&linkaccess=abs&issn=19941080&p=AONE&sw=w&userGroupName=anon~e216e0f7&aty=open+web+entry
32. Koutroumpis, J. (2019, September 11). *Russia and Turkey: An Ambiguous Energy Partnership.* E-INTERNATIONAL RELATIONS. Retrieved from: https://www.e-ir.info/2019/09/11/russia-and-turkey-an-ambiguous-energy-partnership/ (Last seen: 20/05/2023)
33. Marks, J. (2018, September 14). *What started as a nonviolent uprising in 2011 escalated into a full-fledged civil war.* HISTORY. Publisher: A&E Television Networks. Retrieved from: https://www.history.com/news/syria-civil-war-assad-rebels (last seen: 05/06/2023)
34. McNabb, D., E. (2015). *Research methods for political science : quantitative and qualitative approaches.* Second Edition. Published by Routledge. USA.
35. Morello, C. (2016, July 18). *Kerry urges Turkey to maintain democratic principles after coup attempt.* The washington post. Retrieved from: https://www.washingtonpost.com/world/kerry-warns-turkey-nato-membership-potentially-at-stake-in-crackdown/2016/07/18/f427ba8a-4850-11e6-8dac-0c6e4accc5b1_story.html (last seen: 19/06/2023)
36. North Atlantic Treaty Organization. (2015 . November 24). *Statement by the NATO Secretary General after the extraordinary NAC meeting.* Retrieved from: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_125052.htm(last seen: 07/05/2023)
37. Ozdal, H., Zvyagelskaya, I., Svistunova, I. (2021, June). *RUSSIA AND TURKEY – PARTNERS OR ADVERSARIES?* . Turkey. Friedrich Ebert Foundation. Retrieved from: https://library.fes.de/pdf-files/bueros/moskau/18044.pdf
38. Özel, S., Uçar, G. (2019, July). *THE ECONOMICS OF TURKEY-RUSSIA RELATIONS.* Edam - Centre for Economics and Foreign Policy Studies.

39. Petkova, M. (2020, October 1). *What has Russia gained from five years of fighting in Syria?* Al Jazeera. Retrieved from: https://www.aljazeera.com/features/2020/10/1/what-has-russia-gained-from-five-years-of-fighting-in-syria (Last seen: 06/06/2023)
40. Phillips, C. (2012, December). *Into the Quagmire: Turkey's Frustrated Syria Policy*. Chatham House (The Royal Institute of International Affairs). London. Retrieved from: https://www.chathamhouse.org/sites/default/files/public/Research/Middle%20East/1212bp_phillips.pdf
41. Reuters. (2016, JULY 18). *EU reminds Turkey it bound by treaty not to use death penalty.* Retrieved from: https://www.reuters.com/article/us-turkey-security-executions-convention-idUSKCN0ZY10F (last seen: 13/06/2023)
42. Reuters. (2020, December 30). *Turkish court gives 92 life sentences in 2016 coup trial – Anadolu*. Retrieved from: https://www.reuters.com/article/us-turkey-security-trial/turkish-court-gives-92-life-sentences-in-2016-coup-trial-anadolu-idUSKBN2940W3 (last seen: 06/06/2023)
43. Roth, A. & Cunningham, E. (2016, June 27). *Turkish president apologizes for downing of Russian warplane last year.* The washington post. Retrieved from: https://www.washingtonpost.com/world/turkey-apologizes-for-shooting-down-russian-warplane-last-year/2016/06/27/d969e0ea-3c6d-11e6-9e16-4cf01a41decb_story.html (last seen: 09/04/2023)
44. Rüma, I., & Çelikpala, M. (2019). *Russian and Turkish Foreign Policy Activism in the Syrian Theater.* Uluslararası İlişkiler Konseyi Derneği. Vol. 16, No. 62. Retrieved from: https://dergipark.org.tr/en/pub/uidergisi/issue/46967/588930
45. Şahin, Z. (2017). Turkey and Russia's tomato crisis explained. TRT-WORLD. Retrieved from: https://www.trtworld.com/turkey/turkey-and-russia-s-tomato-crisis-explained-9738 (Last seen: 18/06/2023)
46. Smith, A. (2016, July 18). *American Ambassador to Turkey John Bass Denies U.S. Hand in Coup Attempt.* NBC NEWS. Retrieved from: https://www.nbcnews.com/storyline/turkey-military-coup/american-ambassador-turkey-john-bass-denies-u-s-hand-coup-n611686 (last seen: 17/06/2023)

47. The Associated Press. (2017, July 16). *Juncker: EU's hand remains outstretched to Turkey*. KSL News. Retrieved from: https://www.ksl.com/article/45044358/juncker-eus-hand-remains-outstretched-to-turkey (last seen: 13/06/2023)

48. The Telegraph. (2016, August 2). *Erdogan accuses West of 'writing the script' for Turkey coup.* Retrieved from: https://www.telegraph.co.uk/news/2016/08/02/erdogan-accuses-west-of-writing-the-script-for-turkey-coup/ (last seen: 13/06/2023)

49. Waltz, K. (1979). *Theory of International Politics*. Berkeley: University of California,

50. Waltz, k. (2001). *Man, the state, and war : a theoretical analysis.* Columbia University hess. New York.

51. Zulham, M., Saragih, H., Thamrin, S., Silitonga, T. (2020) *Turkey's Involvement in the Syrian Conflict from a Defense Management Perspective.* AJIS : Academic Journal of Islamic Studies, vol. 5, no. 2. IAIN Curup – Indonesia. Retrieved from: http://journal.iaincurup.ac.id/index.php/AJIS/article/view/1915

52. აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი.

53. ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი.

54. მჭედლიშვილი, ზ. (2021). *თურქეთის საგარეო პოლიტიკა (ლექციების კურსი)* ნაწილი I. IBSU პუბლიკაციები. თბილისი.

55. რონდელი, ა. (2006*). საერთაშორისო ურთიერთობები.* გამომცემლობა „ნეკერი“. მესამე გამოცემა. თბილისი.

56. წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.